ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 11 მარტი, 2021 №39 (8568) ფასი: 60 თეთრი

თბილისში, ფონიჭალასა და მარნეულში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს

გვ.5

„კალაძე შეეცდება თავი დაიძვრინოს და გაეცალოს „ოცნებას“

გვ.4

ლაშა ჩხარტიშვილი:

„თუ ძირეულად
არ შეიცვლება საარჩევნო
სისტემა, არ დაინიშნება
ვადამდელი,
ახალი არჩევნები და
პოლიტპატიმრები
არ გამოვლენ, რა აზრი
აქვს თვითმმართველობის
არჩევნებში
მონაწილეობას?!“

„ამ ქვეყანაში პირველი პირებიც კი არ არიან დაცული“

გვ.3

მამუკა გამყრელიძე:
„მოლაპარაკებები
არ ჩაიშლება,
ხელისუფლებას ამის
ფუფუნებას არ მივცემთ“

„გახარიამ დაინახა, რომ „ოცნების“ გემი იძირებოდა და იმიტომ გადადგა“

გვ.3

გიორგი ბარამიძე:
„ივანიშვილი უზნეოა და
ეს გამოჩნდა იქიდანაც,
როგორც გაზარდა შვილი“

აფხაზეთში ასლან ბჟანიას გადადგომა მოითხოვეს

გვ.4

„პრეზიდენტი ოპოზიციის რა პროვოკაციაზე საუბრობს, როცა თავად მოაწყო გარეჯში?!“

ISSN 1987-9385

2 სალომე ზურაბიშვილი „ოცნების“ წინააღმდეგ

4 კალაძე ივანიშვილის კადრებს იშორებს

5 ყალბი 100-ლარიანების დამზადება-გასაღებისთვის 4 პირი დააკავეს

6 გერმანია ვაქცინაციის პროცესს აპრილიდან დააჩქარებს

სერგი კაპანაძე: „ჩვენი კომპრომისი პლებისციტთანაა დაკავშირებული“



– არ მგონია, მათ გადაწყვეტილი ჰქონდეთ, რომ კრიზისი უნდა განიმუხტოს. ალბათ იმ გზას დაადგებიან, რომ თვალებში ნაცრის შეყრის კიდევ უფრო მძაფრი ნაბიჯები გადადგან, ოღონდ უკვე ჩვენს პარტნიორებთან მიმართებით.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ „დღის ნიუსრუმში“ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების პროცესთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ოპოზიციას ხელისუფლებასთან დიალოგის პროცესში ახალი იდეები აქვს. როგორც კაპანაძე აღნიშნავს, ამ იდეების კონცეფცია პლებისციტის ირგვლივაა.

– არჩევნებთან დაკავშირებით კომპრომისებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. მათ შორის ერთ-ერთია პლებისციტი. ამის ფორმა უკვე მოლაპარაკების საგანია და აქ შეთანხმებისთვის სივრცე არსებობს, იდეები გვაქვს, უბრალოდ, ამაზე საჯაროდ საუბარი, ვიდრე მოლაპარაკებები არ გაიმართება, არასწორია. მაგრამ კონცეფცია პლებისციტის ირგვლივაა, – განაცხადა კაპანაძემ.

მისივე თქმით, მმართველი გუნდი კრიზისის გაღრმავებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე განმუხტვაზე.

– „ქართული ოცნების“ ლიდერშიფი ამ კრიზისის გაღრმავებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე განმუხტვაზე, ამიტომ დამოკიდებულება, რომელიც გვესმის, რომ არაფერზე წამოვლენ, საუბარი იმაზე, რომ მხოლოდ ის სტატუს-კვოა მისაღები და ყველა სხვა ალტერნატივა არასწორია, ნიშნავს იმას, რომ რაღაც უფსკრულისკენ მივექანებით.

თუ მოლაპარაკებები ვარდება და კრიზისი კიდევ უფრო ღრმავდება, დღევანდელი ხელისუფლება ამაზე პასუხისმგებლობას არ იღებს და აგრძელებს ცხოვრებას, ვითომ არაფერი მომხდარა, ასეთ შემთხვევაში რეალურად გადაწყვეტილებაა მიღებული, რომ კიდევ ახალი ხარისხის ავტორიტარიზმი იყოს ქვეყანაში, ნიშნავს იმას, რომ პოლიტპატიმრებს იტოვებენ, აპირებენ, რომ ერთპარტიული პარლამენტით გააგრძელონ მართვა, ლეგიტიმაციის ხარისხი დაბალი აქვთ და ეს არ ანაღვლებთ.

ამ ტიპის ქვეყნებთან ვიცით, როგორი ურთიერთობა აქვს ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამიტომ მე არ მინდა ნამდვილად, რომ ამ სცენარებზე ვისაუბრო, იქნება ეს სანქციები, მეტი იზოლირება, მეტი ზეწოლა, თუ გადახედვა დღეს არსებული ურთიერთობების ამერიკასთან და ევროკავშირთან.

მათ ძალიან ბევრი ინსტრუმენტი აქვთ, მაგრამ არ მინდა, რომ ეს ინსტრუმენტები ამოქმედდეს იმიტომ, რომ გაფორმდება, ევროპაზე უარი ვთქვით და გადავედით ბელარუსულ ორბიტაზე, – განაცხადა კაპანაძემ.

გომელაურს 691 ათასი, ღარიბაშვილს — 162 ათასი

„ფლანგვის დეტექტორი“ შს მინისტრების ხელფასებს ავრცელებს

შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს გადასახადების გადამხდელებმა საჯარო სამსახურში ხელფასად 691 ათასი, პრემიერ ღარიბაშვილს კი 162 ათასი ლარი გადაუხადეს.

ინფორმაციას შინაგან საქმეთა ყოფილი და მოქმედი მინისტრების ხელფასებზე „ფლანგვის დეტექტორი“ ავრცელებს.

ვახტანგ გომელაური ბიძინა ივანიშვილის დაცვაში მუშაობდა, ირაკლი ღარიბაშვილს კი მის კომპანიებში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ორივე პირი საჯარო თანამდებობებზე დაინიშნა.

„გადასახადების გადამხდელებმა ვახტანგ გომელაურს საჯარო სამსახურში ხელფასად 691 ათასი გადაუხადეს. ხოლო ირაკლი ღარიბაშვილს საჯარო თანამდებობებზე მუშაობისთვის გადასახადების გადამხდელებმა 162 ათასი გადაუხადეს“ – ნათქვამია „დეტექტორის“ ინფორმაციაში.

ზურაბ ჯაფარიძე: „პოლიტპატიმრების გათავისუფლება კომპრომისად ვერ ჩაითვლება“

„გირჩი – მეტი თავისუფლებას“ ლიდერის, ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, პოლიტპატიმრების გათავისუფლება ხელისუფლების მხრიდან კომპრომისად ვერ ჩაითვლება.

აღნიშნულის შესახებ ჯაფარიძემ ტელეკომპანია პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

როგორც ჯაფარიძემ განმარტა, ოპოზიციას პარლამენტში შესვლა ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს, ვინაიდან საკონსტიტუციო ცვლილებებია გასატარებელი.

– იმ ხალხის გათავისუფლება ვერ ჩაითვლება კომპრომისად, ეს ნიშნავს, რომ მწვანე შუქს უნთებ ხელისუფლებას – ნებისმიერ დროს, კრიზისულ სიტუაციაში შეუძლია აიყვანოს მძევლები და შემდეგ ამ მძევლების გათავისუფლება გაასაღოს, როგორც კომპრომისი. ამიტომ, არ შეიძლება ამის კომპრომისად ჩათვლა. ისინი უნდა გათავისუფლდნენ და შემდეგ უნდა დავიწყოთ სხვადასხვა საკითხებზე საუბარი.

რაც შეეხება პარლამენტში შესვლა-არშესვლას, ეს საკითხი საერთოდ დადგება თუ არა, არ ვიცი. ჩვენი ბოლო საუბარი როცა იყო შარლ მიშელთან ერთად, პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი არ დამდგარა. პარლამენტში შესვლა ოპოზიციას ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს, რადგან საკონსტიტუციო ცვლილებები არის გასატარებელი, უნდა შევიდნენ და დააჭირონ თითი, მაგრამ არ ყოფილა საკითხი ისე დაყენებული, როცა შარლ მიშელთან ბოლო შეხვედრა იყო, რომ კრიზისის განმუხტვის წინაპირობაა პარლამენტში შესვლა.

მთავარი ამბავი არის შეთანხმება ზოგადად, ამ რაღაცებზე, რომ კრიზისი განიმუხტოს. ტექნიკური ნაწილი არის, ვიღაცები პარლამენტში შევლენ, თუ არ შევლენ. ეს შეთანხმება თუ შედგება, მართლმაჯულების საკითხში შეიძლება იყოს საკითხები, რომელთაც კონსტიტუციის ცვლილება სჭირდება, საარჩევნო სისტემის ცვლილებას სჭირდება კონსტიტუციის ცვლილება, ვადამდელ არჩევნებს სჭირდება კონსტიტუციის ცვლილება, ბუნებრივია, რომ ოპოზიცია მაშინ პარლამენტში უნდა შევიდეს და თითი უნდა დააჭიროს.

მე შევალ თუ არა, ეს არ არის არსებითად მნიშვნელოვანი, ჩემ მაგივრად შევა სხვა, სია არ არის ჩახსნილი. თუ ხელს მოვაწერ შეთანხმებას, რომლის წინაპირობაც იქნება, რომ უნდა შევიდე, მაშინ შევალ, მაგრამ ისე განცხადება დაწერილი მაქვს და ამ ნუთში, პარლამენტის წევრად საკუთარ თავს არ ვთვლი.

თუ მოვაწერე შეთანხმებას ხელი, რომლის წინაპირობაც არის, რომ ხელს ვაწერ პარლამენტში შესვლას და ამის სანაცვლოდ ამ ყველაფერს ქვეყანა იღებს, მაშინ შევალ, აბა, ხომ არ მოვიტყუები, – განაცხადა ჯაფარიძემ.

თაკო ჩარკვიანი: „ოცნებაში“ რღვევა დაიწყო“

– უკვე ლუსტრაცია მოხდა, გახარიას წასვლა არ გეგონოთ შემთხვევითი, არც გამოჩენილი ჩანაწერები გეგონოთ შემთხვევითი – რღვევა დაიწყო „ოცნებაში“ და ეს ძალიან კარგია.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთმა ლიდერმა თაკო ჩარკვიანმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისივე თქმით, ამ ხელისუფლებამ იმდენად აურია ვითარება ქვეყანაში, რომ ვითარების დასალაგებლად საქართველოში დასავლელი პარტნიორებისა და საქართველოს მეგობრების ჩამოსვლა გახდა საჭირო.

– ეს არის ის ხელისუფლება, რომელიც შევა ისტორიაში იმით, რომ იმდენად აურ– დაურია საქართველოში ყველაფერი, რომ საქართველო იძულებული გახდა, დასავლეთიდან პარტნიორები ჩამოსულიყვნენ, ჩვენი მეგობრები, რათა ჩვენთან დალაგდეს ვითარება. ამით შევა ისტორიაში ბიძინა ივანიშვილი.

ყველა სფეროში ააქოთა და ააწუმპა ქვეყანა, იმიტომ, რომ ფაშა არის სათავეში, ოლიგარქი.

როგორ შეიძლება 2.000 ადამიანის, რომელიც კომპრომატებითა და კორუფციაში გარევით ერთმანეთზე კომპრომატებით არსებობენ, ვინმეს ეშინოდეს და მათ ჩავბაროთ და გავანადგურებინოთ ქართული სახელმწიფოებრიობა და ბერას გარეპილ სისულელეს ვუსმინოთ, გუშინდელ მის ინტერვიუს ვგულისხმობ. სახელმწიფო აღარ არსებობს, კანონი არ არსებობს, სამართალი არ არსებობს და დასავლელ პარტნიორებს ვიძახებთ, რომ ადამიანები ერთმანეთს გაესაუბრონ.

ეს ბოიკოტი რომ არ ყოფილიყო და პარლამენტში შევსულიყავით, საერთოდ ვერ გაიგებდა დასავლეთი, რა დღეშია ჩვენი ქვეყანა. ზუსტად ამისთვის იყო ეს ბოიკოტი საჭირო და არშესვლა პარლამენტში, ეს იყო ზარი განგაშის, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები მიმხვდარიყვნენ, რომ შეიძლება ქვეყანა დაკარგონ, – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

„თუ იაფფასიან „ქუჩურ“ გაგებას აწვები, პოლიციელებს არ უნდა აგზავნიდე“

– რაც შეეხება ძალიან იაფფასიან „ქუჩურ“ თუ „ქართულ გაგებას“, რომ არ ვაპატიებ, თუ მაგ არასწორ გაგებას აწვები, პოლიციელებს არ უნდა უგზავნიდე. ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გიგა ბოკერიამ ბერა ივანიშვილის 9 მარტის ინტერვიუსთან დაკავშირებით განაცხადა, სადაც მან გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებზე ისაუბრა.

როგორც გიგა ბოკერია აცხადებს, ბერა ივანიშვილის მიერ გაჟღერდა არა მხოლოდ აღიარებითი ჩვენება, არამედ მუქარა საზოგადოების მიმართ.

– ეს განცხადება არის არა მარტო აღიარებითი ჩვენება, არამედ მუქარა მთელი საზოგადოების მიმართ, მათი, ვინც რაღაც არაკორექტულად დაწერა სოციალურ ქსელში, რაც ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც ცნობილი ფიგურა ხარ, გინდ პოლიტიკაში, გინდ კულტურაში, გინდ პოპ კულტურაში, ეს ამ ცხოვრების ნაწილია. როდესაც ასე იმუქრები, ეს არის ავტორიტარული სახელმწიფოს განაცხადი. ამიტომ გვახსენდება კადიროვი. ბუნებრივია, იქ უფრო სასტიკი მეთოდებით ხდება ეს ყველაფერი. ეს პრინციპს არ ცვლის.

გიგა ბოკერიას რჩევა ბერა ივანიშვილს

რაც შეეხება ძალიან იაფფასიან „ქუჩურ“ თუ „ქართულ გაგებას“, რომ არ ვაპატიებ, თუ მაგ არასწორ გაგებას აწვები, პოლიციელებს არ უნდა უგზავნიდე. ეს არის წმინდა წყლის ფარისევლური, უტიფარი ძალაუფლებით გახრწნილი ადამიანების ჯგუფის განაცხადი, მუქარა, საზოგადოების მიმართ, – აცხადებს გიგა ბოკერია.

ბერა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, რომ თუ ვინმე მის ოჯახს შეეხება, პასუხს დღესაც აუცილებლად მოსთხოვს.

– მე დღესაც აბსოლუტურად იგივე პოზიციაზე ვდგავარ და პირდაპირ ვიტყვი – თუ ვინმე დედას შემაგინებს, თუ ვინმე ჩემს ოჯახს შეეხება, რაც ჩემთვის ყველაზე წმინდა და ყველაზე ღირებულია, მე ასეთ ადამიანს აუცილებლად პასუხს მოვთხოვ დღესაც, – განაცხადა ბერა ივანიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილი „ოცნების“ წინააღმდეგ

„ნიკა მელიას დაკავების დრო და ფორმა საუკეთესო არ იყო“

– ნიკა მელიას დაკავების დრო და ფორმა არ იყო საუკეთესო.

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, ეს განცხადება ბიბისის ჰარდ-თოქში გააკეთა.

ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის თბილისში ვიზიტი ადასტურებს, რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისია. გადაცემის წამყვანის შეფასებით კი, მსგავსი ვითარება საქართველოს ნებისმიერ ევროპულ პერსპექტივას აშორებს.

– მე არ მგონია, რომ საქართველო უნდა ჩამოიწეროს ამ ერთი მოვლენის გამო, რომელსაც თავისი მიზეზი ჰქონდა, კერძოდ კი, პარლამენტის შენობაზე მიტანილი იერიში და პროვოკაციები, ალბათ, დრო და ფორმა, ოპოზიციის ლიდერის დაკავებისა არ იყო საუკეთესო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო უცბად ავტორიტარული ქვეყანა გახდა.

ფაქტი, რომ შარლ მიშელი საქართველოში ჩამოვიდა, ნიშნავს, რომ კრიზისია, მაგრამ ეს ასევე ნიშნავს, რომ საქართველო არავის ჩამოუწერია, და მეტიც, ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირს კვლავ აქვს საქართველოს იმედი და ეს ქვეყანა არის რეგიონში ყველაზე დემოკრატიული და სტაბილური, – თქვა სალომე ზურაბიშვილმა.

ნინო გიორგობიანი მთავრობის ადმინისტრაციაში გადაიყვანეს

ნინო გიორგობიანი მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა:

„მეგობრებო, უკვე დავინიშნე მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელად – დიდი მადლობა პრემიერ-მინისტრს ამ ნდობისათვის.

ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო წლების განმავლობაში მემუშავა შინაგან საქმეთა სამინისტროში და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

ყოველთვის დავრჩები ამ უწყებების გულშემატკივარი.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ვახტანგ გომელაურს იმ შესაძლებლობისთვის, რომ მასთან ერთად წლების განმავლობაში მემუშავა.

ვახტანგ გომელაური არის ღირსეული ადამიანი, საუკეთესო ხელმძღვანელი და საუკეთესო მეგობარი – კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მას.

აქვე ვიტყვი, რომ ისევე, როგორც აქამდე, ახლაც, 24 საათის განმავლობაში მზად ვარ მედიასთან კომუნიკაციისთვის.“

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარიამ დაინახა, რომ „ოცნების“ გემი იძირებოდა და იმიტომ გადადგა“

გიორგი ბარამიძე: „ივანიშვილი უზნეოა და ეს გამოჩნდა იქიდანაც, როგორც გაზარდა შვილი“

იაგო ნაცვლიშვილი

რა გეგმა აქვს ოპოზიციას თუ კომპრომისი არ შედგება? რას უპასუხებს პრეზიდენტის „ბი-ბი-სის“-თვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულ მოსაზრებებს, სადაც ის ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე და ოპოზიციის პროვოკაციებზე საუბრობს, მაგრამ აქვე იმასაც დასძენს, რომ ნიკა მელიას დაკავება არასწორ დროსა და ფორმებით მოხდა? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საუბრობს.

– რას იტყოდით იმაზე, რაც რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნების დროს ხდებოდა? არის თუ არა პოლიტიზირებული და ამაშიც ხედავთ თუ არა „ქართული ოცნების“ კვალს?

– რა თქმა უნდა. ეგ ყველამ აღნიშნა და ყველამ იცის. მე მგონი, ამას ჩემი დამატება აღარ სჭირდება. სამწუხაროდ, ყველაფერი პოლიტიზირებულია, დაწყებული სპორტიდან და დამთავრებული პროკურატურითა და სასამართლოთი.

– სპორტს არ უნდა ჰქონდეს წესით კვეთა პოლიტიკასთან და რა არის საჭირო, ის მაინც რომ იყოს თავისუფალი?

– ზოგადად, ქვეყანაში უნდა იყოს პოლიტიკურად დაბალანსებული სისტემა. ანუ მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ნებისმიერ ქვეყანაში სამართლის საპოვნელად და სამართლიანი წესების არსებობისთვის არის სამართლიანი სასამართლო, რაც არ გვეღირსა და ამაში ყველა ხელისუფლებას თავისი ცოდვა აქვს. უნდა ვაღიაროთ ეს და შემდეგი ხელისუფლების მთავარი ამოცანა ეს უნდა იყოს. ამაზე ვართ თანახმა ყველა პარტია, გარდა „ქართული ოცნებისა“.

– არ მოვიდა დრო ისაუბროთ კონკრეტულ ხედვებზე, როგორ წარმოგიდგენიათ ამ საკითხების მოგვარება და დადოთ გეგმა?

– როგორ არ მოვიდა. გეგმა დადებული გვაქვს, მაგრამ როდესაც ინტერვიუებს ვაძლევთ, სულ იმაზეა ლაპარაკი, რომ იმან ეს თქვა და ამან ეს თქვაო. საარჩევნო პერიოდშიც კი ცოტა დრო გვქონდა ამ თემებზე სასაუბროდ. ხალხს და, შესაბამისად, თქვენც – ჟურნალისტებს ინტრიგის შემცველი საკითხები გაინტერესებთ. თქვენ კი არ გსაყვედურობთ ამ განცხადებით, არამედ საზოგადოების ინტერესი არის სხვა. რისი მოთხოვნაც არის ბაზარზე, იმ საკითხებზე გვისვამთ კითხვებს.

– დღეს ბაზარზე მოთხოვნა არის დიალოგთან დაკავშირებით და იმაზე, რა შედეგი დაიდება. პრეზიდენტმა ბიბისის მისცა ინტერვიუ და თქვა, რომ მელიას დაჭერა არასწორ დროს მოხდა, თუმცა ეს ჩემი გადასაწყვეტი არ იყოო. რას ნიშნავს, როდესაც სალომე ზურაბიშვილიც კი ამას აღიარებს?

– იცით ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება მის მიმართ და პრეზიდენტს არც ვუწოდებ მას. ჯერ ერთი, გაყალბებული არჩევნებით არის მოსული და მეორე, ვინც არ უნდა თქვას, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ის ქვეყნის მტერია. თუ ასეთი ადამიანიც კი ასეთ რაღაცას იტყვის, ბუნებრივია, ამას მივესალმები. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც მას შეუძლია. ადამიანი, რომელიც ივანიშვილმა დასვა პრეზიდენტის სავარძელში, ამას რომ ლაპარაკობს, ნათელია, რომ ღრმად აქვს „ოცნებას“ შეტოპილი.

– მოწადინებული ვარ კომპრომისზე, ხელისუფლებას ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა, რომ ოპოზიციის პროვოკაციები აირიდოს თავიდანო. ეს როგორ გაიგეთ?

– რა პროვოკაცია? ჩვენი ბრძოლა მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო მშვიდობიანი და იქნება მშვიდობიანი. ამდენი ხანია პროვოკაციებსა და საბურავებს ეძებენ, მაგრამ ერთი ფაქტი არავის არ დაუდია. სრული ბოდვაა. თუ მას სამშობლოს ღალატის შემდეგ რაღაც პოზიტიურის შესრულება უნდა, მაშინ შეასრულოს და არა ისეთი ქმედება, როდესაც მართლა პროვოკაცია მოაწყო, როდესაც სამხედრო ფორმა ჩაიცვა და დავითგარეჯში ჩავიდა.

როგორც ჩანს, ესეც იმ გეგმის ნაწილი იყო, რისი წარმოჩენაც „ქართულ ოცნებას“ უნდოდა, თითქოს ვიღაცას არ უნდა, რომ დავითგარეჯი საქართველოს ნაწილი იყოს. „იმედს“ რომ ჰქონდა გამოდებული, რომ დავითგარეჯი საქართველოაო, გეგონება, ვინმე ამბობს, რომ არ არის საქართველო. ადამიანი, რომელიც აცხადებდა, რომ ომი საქართველომ დაიწყოო და მანამდე, როდესაც რუსეთმა ჩვენი სარადარო მოწყობილობა დაბომბა, მაშინ იძახდა, რომ ვანო მერაბიშვილმა დაბომბა, ჭურვები კი არ არისო. ამის მთქმელი რა პროვოკაციებზე საუბრობს?!

– საუბრობს იმაზე, რომ უნდა კომპრომისი. მისი მხრიდან თუ იყო რაიმე მცდელობა, რომ შედგეს კომპრომისი?

– მაგას ვამბობ, რომ თითი თითზე არ დაუკარებია. რა სტატუსიც აქვს, მას შეუძლია ამ მიმართულებით ბევრი რამე გააკეთოს, მაგრამ რატომაც არის ჩასმული პრეზიდენტის სავარძელში, იმ ფუნქციას ასრულებს. რა თქმა უნდა, ივანიშვილისთვის.

– ელისაშვილმა საგამოძიებო კომისიის შექმნის წინადადება დააყენა პარლამენტში, რომელიც თქვენ მწვავედ გააკრიტიკეთ და უწოდეთ მონების მონა, რომელმაც თქვენზე თქვა, ამ ქვეყნის დიდი უბედურებაა, ბარამიძე რომ დღესაც პოლიტიკაშიაო. რა პასუხი გექნებათ ამაზე?

– მონის მონას რა უნდა ვუპასუხო?!

– რამდენად სწორად მიგაჩნიათ ასეთი ტერმინოლოგიის გამოყენება პოლიტიკოსებისგან ერთმანეთის მიმართ?

– რაც არის, იმას ვამბობ. მონები სხედან იმ პარლამენტში და მონის ფუნქციას ასრულებს ელისაშვილი და მისი ამფსონი. ის აჟღერებს იმას, რაც მოდის „ქართული ოცნების“ პიარსამსახურიდან.

– სამომავლოდ თქვენ შორის თანამშრომლობის გზა გადაკეტილია?

– რა თანამშრომლობაზე კითხულობთ?

– მაგალითად, თემატურ საკითხებზე.

– იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თუ მას დაეთანხმება... თუ იტყვის, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდის და თუ იგივეს დაეთანხმება, რასაც მე ვეთანხმები, ამას თუ თანამშრომლობას დაარქმევთ, მაშინ შესაძლებელია. დღემდე ეს ორი ადამიანი „ქართული ოცნებისთვის“ იმ ფუნქციას ასრულებენ, რომ ეს არალეგიტიმური პარლამენტი რამენაირად გაუმართოს და ამ პოლიტიკურ გვამს, გავრილოვების პარლამენტს ფერუმარილივით რაღაცა როლი შეასრულებინონ.

ხომ ხედავთ, თქვენც ამ ხასიათის შეკითხვებს მისვამთ, რაზეც ვსაუბრობდით. როგორი უნდა იყოს სასამართლო, როგორ უნდა მოხდეს პროკურატურის, სუს-ის დეპოლიტიზაცია და ა. შ. ამ საკითხებისთვის დრო არც ამ ინტერვიუში მოიძებნა. არადა, ეს არის მთავარი. სამწუხაროდ მოთხოვნა ის არის, რომ ამან ეს თქვა და თქვენ რას უპასუხებთ, რაც მომაბეზრებელია, მაგრამ რას ვიზამთ, საზოგადოების მოთხოვნა თუ ეს არის...

– რა გეგმა გაქვთ იმ შემთხვევაში, თუ ვერ მიაღწიეთ კომპრომისს და „ოცნება“ არ წამოვიდა დათმობაზე. გექნებათ აქციები, მაგრამ რამდენად მძლავრი იქნება ეს აქციები?

– რამდენადაც ამას მოისურვებს ქართული საზოგადოება, რომ გამოხატოს თავისი პროტესტი ამგვარი ქცევით. 21-ე საუკუნეა და ხალხი მიეჩვია კომფორტში ყოფნას იმ თვალსაზრისით, რომ სახლიდან ადევნებს ყველაფერს თვალს. ყველაფერი პირდაპირ ეთერში გადის და ისიც კი არ სჭირდებათ, რომ ცნობისმოყვარეობის გამო მაინც გამოვიდნენ გარეთ. არის ინტერნეტი და სოციალური ქსელები, რაც იძლევა შენი ხმის გაგონების შესაძლებლობას და ეს ბევრ რამეს გიკმაყოფილებს.

ისიც არის, რომ ვიღაცას ვიღაცა არ მოსწონს. ეს უფრო საბაბია, რომ იმის გვერდზე არ დავდგებიო, მაგრამ მაინც არის ეს მომენტიც. მაგაზე არ უნდა ჩავიციკლოთ და გაგრძელდება მშვიდობიანი ბრძოლა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ გვყავს ერთი ადამიანი, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია საქართველოს ბედი და არც პასუხისმგებლობას გრძნობს იმაზე, რომ ქვეყნის უკან წასვლაზე პასუხისგება მოუწევს. პოლიტიკური კრიზისების ფონზე მძლავრდება სხვა კრიზისებიც, რაც ამ 8 წელში მომძლავრდა – სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, სიღარიბე, ქვეყნის დაცლა მოსახლეობისგან და ა. შ.

„პრეზიდენტი ოპოზიციის რა პროვოკაციაზე საუბრობს, როცა თავად მოაწყო გარეჯში?!“

კრიზისს ქმნის ის, რომ ხელისუფლება არის უზურპირებული და ის, რომ ხალხის ნება თავდაყირაა დაყენებული. „ოცნება“ უნდა იყოს ოპოზიციაში და დანარჩენი პარტიები ხელისუფლებაში, რადგან მათ ცესკოს მონაცემებითაც კი 52% მიიღეს.

ეს კარგად ესმის ივანიშვილს, ამდენად იდიოტიც არ არის და საერთოდ არ არის იდიოტი, უზნეო ადამიანია. ეს გამოჩნდა იქიდან, როგორც გაზარდა შვილი, რომელსაც მიაჩნია, რომ დედის ღირსება სპეცრაზმის გამოყენებით უნდა დაიცვას.

ვინც ცოტა გონიერი იყო „ოცნებაში“ – გახარია – ისიც კი გაეცალა. განა მართლა მელიას ბედი აღელვებდა მას, მაგრამ არსებული ვითარება გამოიყენა საბაბად, რაც იმას ნიშნავს, რომ „ოცნების“ გემი იძირება.

ამიტომ ბრძოლა უნდა გაგრძელდეს მშვიდობიანად. „ოცნებას“ ორი რამე აშინებს – ეს არის ხალხი ქუჩაში და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების კრიტიკა, ამიტომ ოპოზიცია გეგმაზომიერად გააგრძელებს მუშაობას და იქნება მშვიდობიანი აქციები.

„ამ ქვეყანაში პირველი პირებიც კი არ არიან დაცული“

მამუკა გამყრელიძე: „მოლაპარაკებები არ ჩაიშლება, ხელისუფლებას ამის ფუფუნებას არ მივცემთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ განვითარებულ პროცესებს? საუბარია, რომ „ქართული ოცნება“ დღეიდან ვადამდელი არჩევნებისთვის მზადებას იწყებსო და რა ხდება, ხელახალ საპარლამენტო არჩევნებს არც კი განიხილავენ? არ შესრულდება ის ექვსპუნქტიანი გეგმა?

– ხელისუფლება რას ფიქრობს და რას გეგმავს, ეს მე არ ვიცი. მე ვიცი, რას ფიქრობს ოპოზიცია. ოპოზიციას უნდა, რომ ეს შეთანხმება მოხდეს, მოლაპარაკებებიც გაგრძელდეს და აბსოლუტურად მზად არიან ძალიან კონსტრუქციული საუბარი აწარმოონ ხელისუფლებასთან.

– ლეიბორისტული ოფისის ფორმატს თქვენც ესწრებოდით, ითქვა, რომ დიდი დაპირისპირება იყო და ოპოზიციასაც გაუჭირდა შეთანხმებაო. ასეა?

– არავითარ შემთხვევაში! ჩვენ შევთანხმდით ბატონო ზუსტად ამაზე, რომ გაგრძელდება მოლაპარაკებები. ჩვენ არავითარ საშუალებას არ მივცემთ ხელისუფლებას იმისას, რომ მათ თქვან, ოპოზიციის გამო ჩაიშალა ეს მოლაპარაკებებიო, ეს გამორიცხულია. შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ კონსენსუსი შედგა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ დავსხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან. ჯობია, რომ არ იყოს ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ თუ მაინცდამაინც იქნება, ამაზე უარს არ განაცხადებს ოპოზიცია და გააგრძელებს საუბარს. ასეთია ხალხის მოთხოვნა, ერთი მხრივ და ასეთია ევროკავშირის მოთხოვნა, რომ ეს მოლაპარაკებები შედგეს. ამიტომ ხელისუფლებას ამის ფუფუნებას არ მივცემთ.

– რამდენად წამოვა ხელისუფლება იმაზე, რომ დააკმაყოფილოს ოპოზიციის მოთხოვნები? ბოლო დღეებში სიტუაცია საკმაოდ მკვეთრად შეიცვალა, ამ ჩანაწერებიდან გამომდინარე.

– დიახ, ძალიან მძიმე სიტუაციაა. ერთია, სანამ ავთენტურობა დამტკიცდება, სანამ გაირკვევა ყველაფერი და გამოძიება რაღაც გარკვეულ დასკვნამდე მივა, არ შეიძლება ხელაღებით ლაპარაკი, რომ გინდა თუ არა ეს ასეა, პრემიერ-მინისტრი იყო მაშინ ღარიბაშვილი, ან რაღაც მსგავსი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს ფაქტი რომ მომხდარია, ამას თვითონ ამ საქმის ფიგურანტიც ამტკიცებს. ეს ასე იყო, მაგრამ 10 წლის წინო. ამ დროს კი ამ საქმის ფიგურანტები, დღეს სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობაზე არიან და მათ მიიღეს მონაწილეობა ვიღაცის დაბულინგებაში. თუნდაც დავარქვათ ამას რაღაც „აღმზრდელობითი“ ნიშნით მიადგნენ ვიღაცას და მოსთხოვეს პასუხი. დღეს ეს ადამიანი პრემიერ-მინისტრია! რანაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყანას ხელმძღვანელობს ადამიანი, რომელიც პატარა ბავშვის მოთხოვნით გარბის სადღაც და ასევე პატარა ბავშვს აბულინგებს. თუნდაც ეს იყოს 10 წლის წინანდელი ჩანაწერი. ხოლო თუ ეს არის შედარებით ახალი ჩანაწერი, მაშინ ეს მარტო დანაშაული კი არა, ეს არის უმძიმესი და უდიდესი პრობლემა სახელმწიფო უსაფრთხოებისა, როდესაც ქვეყნის უმაღლეს პირებს, როგორც მინიმუმ მინისტრს, იწერს ვიღაც და შემდეგ ეს ჩანაწერი გამოაქვს! ეს არის კატასტროფა. გამოდის, რომ არავინ დაცული არ არის ამ ქვეყანაში, ქვეყნის პირველი პირებიც კი!

– ბერას ინტერვიუ გავიდა იმედზე და ისიც ამტკიცებს, რომ ეს არის ძველი ჩანაწერი. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მის განცხადებებზე?

– ამ სიტუაციაში, ჩემი საქმე, ბერას შეფასება არ არის. ის კერძო პირია და ამიტომ არც მაინტერესებს მისი განცხადებები. ჩემთვის, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, სწორედ იმ ადამიანების დამოკიდებულება, ვინც დღეს ხელისუფლებაშია. ჩემთვის ყველაზე მძიმე საყურებელი იყო იმ ადამიანების ყურება, რომელთა ნაწილსაც ვიცნობ და გარკვეული ურთიერთობაც მაქვს, სწორედ მათი მცდელობა, ძალიან უბადრუკი მცდელობა, რომ როგორმე „გაეპრავებინათ“ ეს სიტუაცია. არ მართლდება ასეთი საქციელი! არც ერთ შემთხვევაში, რაც არ უნდა პატარა იყოს ბავშვი, არ მართლდება! მით უმეტეს, არ მართლდება, როდესაც იტყვის, რომ იცი რა, მეორეჯერაც ასე მოვიქცეოდიო.

– ამ სიტუაციაში რამდენად დაზარალდა ქვეყნის იმიჯი?

– ძალიან მძიმეა ეს ყველაფერი. უხერხული სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ამ ყველაფერში მთავარი გახლავთ ის, რომ გუშინ იყო დებატები საქართველოსთან მიმართებაში ევროპარლამენტში. აი რა არის უმნიშვნელოვანესი. სწორედ ის გამოსვლები და ის მესიჯები, რაც იქ გაჟღერდა. ძალიან მძიმე განცხადებები მოვისმინეთ ევროპარლამენტის ტრიბუნიდან. ეს იყო მოწოდება ორივე მხარის მიმართ და ეს არ იყო რბილი მოწოდება, ეს იყო ძალიან ხისტი მოწოდება. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო მოწოდება იმისა, რომ არაფორმალური მმართველობა აუცილებლად უნდა დამთავრდეს ნებისმიერი მხრიდან. უნდა დამთავრდეს გარედან ჩარევა ხელისუფლების თუ ოპოზიციის საქმეებში. ასევე, მეორე მესიჯი, აუცილებლად, ორივე მხარემ, მაქსიმალური გონიერება უნდა გამოიჩინოს და აუცილებლად უნდა დასხდნენ მაგიდას-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„კალაძე შეეცდება თავი დაიძვრინოს და გაეცალოს „ოცნებას“

ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ ძირეულად არ შეიცვლება საარჩევნო სისტემა, არ დაინიშნება ვადამდელი, ახალი არჩევნები და პოლიტპატიმრები არ გამოვლენ, რა აზრი აქვს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას?!“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ბერა ივანიშვილი ფარულ ჩანაწერებს გამოეხმაურა. რას იტყვით მის ინტერვიუზე, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

– ბერა ივანიშვილმა აღიარებითი ჩვენება მისცა. ეს იყო პირდაპირ აღიარებითი ჩვენება და არა ინტერვიუ. დანაშაული დანაშაულია 2010 წელსაც, 2020 წელსაც და ნებისმიერ დროს. პროპაგანდისტული მცდელობაც იყო ქვეყანაში ლინჩის წესის დამკვიდრების. მართლაც ეს ყველაფერი ჰგავს კადიროვის რეჟიმს. აღმოსავლური რეჟიმის დამკვიდრებას. ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებშია, რომ დიქტატორები და მათი ოჯახის წევრები დასდევენ ოპონენტებს და ფიზიკურად ძალადობენ. არ შეიძლება ქვეყანა, რომელიც დასავლეთისკენ მიისწრაფვის და ევროკავშირისკენ აქვს ორიენტირი მის საზოგადოებას, ამას ეგუებოდეს და უშვებდეს. არ უნდა შევეგუოთ მონობას. ან შევეგუებით ამ ყველაფერს და თავს ჩავხრით, ან გამოვალთ და გავაპროტესტებთ და გავაგრძელებთ დასავლეთისკენ, ცივილიზაციისკენ სვლას. გამოსავალი მხოლოდ ბრძოლაშია, პროტესტშია. იმაში, რომ ადამიანებმა ღიად გამოთქვან თავიანთი პოზიცია, ეგუებიან თუ არ ეგუებიან ასეთ რეალობას.

– გამოძიება დაწყებულია. პროკურატურისგან ელოდებით ჩანაწერში მოქმედი პირების დაბარებას?

– რამდენიმე დღე დასჭირდა პროკურატურას, რომ მიეღო გადაწყვეტილება, დაეწყო თუ არა გამოძიება. მე, ცხადია, არ მჯერა ამ მართლმსაჯულების, იმიტომ კი არა, რომ ასე მინდა, იმიტომ, რომ თავად ეს სისტემა ყოველჯერზე ამტკიცებს, რომ ჩვენს ქვეყანაში მართლმსაჯულება უბრალოდ არ არსებობს. საქართველოში ნეიტრალური, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ნაცვლად, არსებობს ივანიშვილის ნების აღმსრულებელი იურიდიული კანტორები. შოთაძე სახელმწიფო ბრალმდებელი კი არა, პირადი ადვოკატია, ეს ხომ ყველამ იცის საქართველოში.

მე არ მაქვს არანაირი მოლოდინი, რომ ფიგურანტი პირები ფორმალურად მაინც მისცემენ ჩვენებას და პროკურატურა მათ დაიბარებს. არ აკადრებენ უფლისწულს პროკურატურაში დაბარებას. ეს დღეს, უბრალოდ, შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ, არის საჭირო, რომ შეიცვალოს პროკურატურაც, სასამართლოც, ნებისმიერი სახელმწიფო სისტემა, რომ ის რეალურად სახელმწიფოს წარმოადგენდეს და არა ვიღაცას, კერძო პირს, ვინც არ უნდა იყოს ის პირი.

– „ქართული ოცნების“ უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ „ოცნებამ“ ადგილობრივი არჩევნებისთვის დაიწყო მზადება. კანდიდატების შერჩევაზეა საუბარი. ოპოზიციაც დაიწყებს ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადებას?

– თუ ჩვენ, ოპოზიცია, საზოგადოება, არ მიაღწევს რეალურ გარდატეხასა და არ დაინიშნება ხელახალი არჩევნები, მაშინ ოპოზიცია არ უნდა შეყვეს ამ თამაშში ხელისუფლებას და არჩევნებში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს იქნება პირდაპირ იმის ნიშანი, რომ ჩვენ არჩევნების გაყალბებას ვეგუებით და ამისკენ ვახალისებთ კიდეც ხელისუფლებას.

– ოპოზიციამ შეიძლება ბოიკოტი გამოუცხადოს თვითმმართველობის არჩევნებს?

– დიახ, პირადად მე ამ აზრზე ვიქნებოდი და ამ გადაწყვეტილებას დავუჭერდი მხარს. თუ ძირეულად არ შეიცვლება საარჩევნო სისტემა, არ დაინიშნება ვადამდელი, ახალი არჩევნები და პოლიტპატიმრები არ გამოვლენ, რა აზრი აქვს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას?! ეს იქნება არასწორი ნაბიჯი.

– როგორ ფიქრობთ, კახა კალაძე შეიძლება თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს? სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ კანდიდატების შერჩევა დავიწყეთო უკვე.

– კახა კალაძის გუნდთან თუ ივანიშვილთან დაპირისპირებაზე ბევრი ინფორმაცია ვრცელდება. მისი კომენტარიც, რომ ის არაფერს იტყვის ფარულ ჩანაწერებზე, ამაზე მიუთითებს. კალაძე შეეცდება თავი დაიძვრინოს და გაეცალოს ამ დანაშაულებს, ჩაძირული გემიდან გადახტეს, მაგრამ არ მგონია, რომ მას პოლიტიკური მომავალი ჰქონდეს.

– რატომ?

– ყველასთვის ცნობილია ის კორუფციული სქემები, რომელიც მას უკავშირდება. ამიტომ, იმედი მაქვს, რომ ეს ხალხს არ დაავიწყდება. რა თქმა უნდა, ის ეცდება დამოუკიდებელ თამაშს, მაგრამ ეს მას არ გამოუვა. ამიტომ უმჯობესია, ანძისკენ გაემართოს, საიდანაც ერთ დროს გამოქანებას აპირებდა.

აფხაზეთში ასლან ბჟანიას გადადგომა მოითხოვეს

დე ფაქტო პრეზიდენტი ქართველებთან ურთიერთობის მრავალდონიან მოლაპარაკებებზე უარს ამბობს

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენები ისეთივე მღელვარე და ქაოსურია, როგორც მთელ საქართველოში.
„ახალი თაობა“ წერდა, რომ რამდენიმე თვეა, ბჟანია-ანქვაბი-შამბას გუნდს ოპონენტები სხვა პრეტენზიებთან ერთად პროქართული პოლიტიკის გატარების ბრალდებასაც უყენებენ. დაძაბულობამ იმატა ამ დღეებში.

9 მარტიდან მოყოლებული, აფხაზეთის 1992-93 წლების ვეტერანები კონკრეტული მოთხოვნებით გამოდიან. მათ დე ფაქტო პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას გადადგომა მოითხოვეს. შეკრებილებმა მოუწოდეს ბჟანიას, მიიღოს გადადგომის გადაწყვეტილება. ამას წინ უძღოდა ბჟანიას ყოფილი თანაშემწის, ახრა ავიძბას დაკავება დაცვასთან ერთად. უშიშროების სამსახური მას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, ასევე იარაღის შენახვას ედავება.

ვეტერანების აზრით, დასანიშნია ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც უნდა გაიმართოს ადგილობრივ არჩევნებთან ერთად.

იდეის ავტორებმა მოუწოდეს სხვა ვეტერანებს სხვადასხვა ორგანიზაციიდან („ამცახარა“, „არუაა“), თავი შეიკავონ პრეზიდენტობის კანდიდატების დასახელებისა და მხარდაჭერისაგან.

ვეტერანების ინიციატივით, შესაქმნელია ვეტერანთა დამოუკიდებელი კომისია, რომელიც გააკონტროლებს არჩევნების მიმდინარეობას.

მათი აზრით, 2020 წელს მორიგი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსულმა გუნდმა ვერ შეძლო ხალხის გაერთიანება და ვერ მოახერხა გადაწყვეტილებების მიღების ერთიანი ცენტრის შექმნა. დღემდე ეს ხელისუფლება იხდის წინასაარჩევნო დავალიანებებს და თანამდებობებზე ასაქმებს თავის ხალხს. ამას ემატება ეკონომიკური, ენერგეტიკული კრიზისი და ხელისუფლების კონტროლიდან გამოსული პანდემია. ამას მივყავართ მორიგ სახელმწიფო გადატრიალებამდე.

ყოველგვარი გადატრიალებისა და ძალადობრივი მოქმედებების წინააღმდეგ გამოვიდნენ „ამცახარას“ წევრები. ამასთან, მათ პრესკონფერენციაზე მათ მხარი დაუჭირეს ვეტერანების პოლიტიკისაგან გამიჯვნას და დიალოგს ხელისუფლებასთან. მათი შეფასებითაც, მდგომარეობა აფხაზეთში ურთულესია. შეკითხვები ახრა ავიძბას დაკავებაზე „ამცახარას“ წევრებსაც უჩნდებათ. მათი აზრით, ავიძბას იარაღის შენახვაშიც დასდეს ბრალი, რაც აბსურდია. მას იარაღი მაშინაც ჰქონდა, როცა ბჟანიას ხელისუფლებაში მოსვლაში ეხმარებოდა.

ბჟანიას დაკავებული ახრა ავიძბას საგვარეულოც აუმხედრდა

9 მარტს მოსკოვიდან დაბრუნებული ასლან ბჟანია (იგი მოსკოვის კლინიკებში გამოკვლევაზე იმყოფებოდა) შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულ დეპუტატებს შეხვდა.

აფხაზეთის სახალხო კრების წევრებმა მას ბევრი კითხვა დაუსვეს. მათ შორის, ქართველებთან ურთიერთობასა და საგარეო კონცეფციაზე.

როგორც ცნობილია, ბჟანიას მიერ წარმოდგენილ „აფხაზეთის საგარეო კონცეფციაში“ საუბარია მრავალდონიან მოლაპარაკებებზე თბილისთან. კანონმდებლებმა კიდევ ერთხელ მოითხოვეს ამ ჩანაწერის ამოღება. ბჟანია ამას დათანხმდა და დეპუტატებს მოუწოდა, თავიანთი ვარიანტი შეიმუშაონ.

კანონმდებლებმა გვერდი არ აუარეს ბენურ კვირაიას გადმოსვლას ენგურგამოღმა, რამაც აფხაზეთში დიდი ალიაქოთი გამოიწვია.

ასლან ბჟანიას განმარტებით, კვირაია მისი შტატგარეშე თანაშემწე იყო. ის „საქართველოში“ წამოვიდა, როგორც კერძო პირი. წინა ხელისუფლებას მისი 170 მილიონი რუბლი მართებს. კვირაია ყველგან ეძებს გასაღების ბაზრებს – რუსეთში, ყირიმში და ა. შ. „საქართველოში“ გამომგზავრებას აფხაზეთის მოქალაქეებს კანონი არ უკრძალავს.

თავის ყოფილ თანაშემწეზე – ახრა ავიძბას დაკავებაზე ბჟანია ფაქტობრივად არაფერს ამბობს. მისი თქმით, ამაზე სხვებზე მეტ ინფორმაციას არ ფლობს, უშიშროების მუშაობაში არ ერევა, დეპუტატებს კი შეუძლიათ ამაზე სპეცსამსახურებთან დახურულ კარს მიღმა იმსჯელონ.

ასლან ბჟანია და დეპუტატები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. თუმცა, მდგომარეობა აფხაზეთში და ამ ხელისუფლების გუნდის ბედი ბეწვზე ჰკიდია. ახლა უკვე ბჟანიას ავიძბას საგვარეულოც აუმხედრდა.

კალაძე ივანიშვილის კადრებს იშორებს

ჩემი პირადი სურვილი იქნება, რომ კახა კალაძე იყოს კვლავ მერი და ჩემი აბსოლუტური მხარდაჭერაც ექნება.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, სოზარ სუბარმა განაცხადა, რითაც კახა კალაძის შესახებ ჟურნალისტების შესაბამის კითხვას უპასუხა.

თუმცა, როგორც სუბარი აღნიშნავს, გადაწყვეტილებას, თუ ვინ იქნებიან მერობის კანდიდატები თბილისსა და რეგიონებში, საზოგადოება მოგვიანებით შეიტყობს.

– კახა კალაძე არის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, ყველაზე მაღალრეიტინგული ლიდერი, ადამიანი, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს, ძალიან კონკრეტული გეგმა აქვს თბილისის განვითარების და ყოველთვის იქნება ასეთი წევრი. რაც შეეხება იმას, ვინ იქნებიან კანდიდატები, კახა კალაძე თუ რომელიმე სხვა ადამიანი სხვა რეგიონში, სხვა მუნიციპალიტეტში თუ სხვა მერიაში, ამას გეტყვით მოგვიანებით, – განაცხადა სუბარმა.

გუნდის შიგნით არსებული რთული ვითარება და თბილისის მერის საეჭვო დუმილი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თვითმმართველობის არჩევნებზე კალაძისა და „ოცნების“ მომავალ ერთობას.

თავად კახა კალაძე განმარტებებს არ აკეთებს – უცნობია, სურს თუ არა ქალაქის მერს თანამდებობაზე კენჭი მეორე ვადით იყაროს.

ოპოზიციაში პირდაპირ ამბობენ, რომ კალაძე ახლა ივანიშვილის მძევლობაში მისი კორუფციული გარიგებების გამოა. თუმცა, ბერკეტი ივანიშვილის წინააღმდეგ მასაც აქვს და თუკი გამბედაობა ეყოფა, ამას გამოიყენებს.

კალაძე ახლა ქალაქის მერიიდან ივანიშვილის კადრებს იშორებს, ამის დასტურად გუშინ, 10 მარტს, ივანიშვილის კიდევ ერთი კადრის ალექსანდრე ტოგონიძის გათავისუფლება მოჰყავთ, რომელიც თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელად ქართუ ბანკიდან დაინიშნა.

„ამ ქვეყანაში პირველი პირებიც კი არ არიან დაცული“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თან და მოილაპარაკონ. აუცილებელია გაგრძელდეს ქვეყნის წინსვლა, ამისათვის კი კონსენსუსია მისაღწევი. საჭიროა კომპრომისები ორივე მხრიდან.

– თუკი არ წავიდა ხელისუფლება ამ კომპრომისებზე? ჩვენ ვისმენთ ირაკლი ღარიბაშვილის საკმაოდ ხისტ განცხადებებს, რომ ვადამდელ არჩევნებზე საუბარი არ იქნება, ეს საკითხი არც კი განიხილებაო. არადა, მთავარი მოთხოვნა ოპოზიციისა სწორედ ეს არის. მაშინ რას ელოდებით, რა იქნება?

– იცით რა, თუ არ განიხილება ვადამდელი, მაშინ რა შეიძლება შემოგვთავაზოს ხელისუფლებამ?! რა შემოთავაზება შეიძლება არსებობდეს ამის საპირწონედ?!

– პლებისციტის თემა დაიხურა?

– არა, რატომ? არავითარ შემთხვევაში არ დახურულა. ჩვენი მოთხოვნა და პირველი რიგის ამოცანა არის პოლიტპატიმრების გამოშვება. ამაზე ღიად თქვეს ევროპარლამენტში, რომ ესენი არიან პოლიტპატიმრები. ეს პირდაპირ ითქვა. ეს ადამიანები უნდა გამოვიდნენ. გარდა ამისა, კანონმდებლობის ცვლილებაა, როგორც საარჩევნოსი, ასე სასამართლო რეფორმა. დარწმუნებული ვარ, რომ ამას ძალიან მკვეთრად გააკონტროლებს ევროკავშირი. დარწმუნებული ვარ, ძალიან სერიოზული მონიტორინგი იქნება მათი მხრიდან.

– 16 მარტსაც სერიოზულ მესიჯებს მივიღებთ?

– კი, აუცილებლად. აქვე ერთ საკითხზე მინდა შევაჩერო ყურადღება, რომ ამ ექვსპუნქტიან გეგმაში, არჩევნების საკითხი მეხუთე პუნქტად არის გამოყოფილი. მის წინ ოთხი უფრო მნიშვნელოვანი საკითხია. მათი შეხედულებით, ეს არის ყველაზე რთული საკითხი და, როგორც ჩანს, აქ პრიორიტეტების საკითხიც არის. მათთვის პრიორიტეტული არის დემოკრატიული ცვლილებები. პირველ რიგში, კანონმდებლობის ცვლილება, გამოშვება პოლიტპატიმრების და შემდეგ დგას უკვე არჩევნების საკითხი. აქ თუ მოხდება რაღაცა კონსენსუსის პოვნა, რაღაცაზე შეთანხმება, თუნდაც პლებისციტზე, ეს იქნება სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი.

– ოპოზიციაშიც ყველა რომ არ არის თანხმამ პლებისციტზე? ნაცმოძრაობა კატეგორიული წინააღმდეგია.

– კი, ასეა, მაგრამ არა უშავს. დღეს ოპოზიციაში უფრო მეტი გონიერება და უფრო მეტი მოქნილობაა, ვიდრე ხელისუფლებაში. ამიტომ იმედს ვიტოვებ, რომ ხელისუფლება მეტ გონიერებას გამოიჩენს ამ მოლაპარაკებებში. ხოლო მე პირობას გაძლევთ, რომ ოპოზიცია მაქსიმალურად ელასტიკური იქნება მოლაპარაკების მაგიდასთან.

– ისეც ხომ არ მოხდება, რომ ზოგიერთები შევიდნენ კიდეც პარლამენტში? ლელო და სტრატეგია აღმაშენებელი, პლებისციტის შემთხვევაში აპირებდნენ შესვლას.

– იცით რა, თქვენ ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით იცით. მე მომხრე ვარ იმის, რომ ყველა საშუალება, ყველა ხერხი, ყველა ინსტრუმენტი გამოყენებული იქნას ბრძოლაში, მათ შორის, საპარლამენტო ტრიბუნაც. მე ამაში რაიმე მიუღებელს ვერ ვხედავ. თუ ვინმეს შეუძლია იქ შესვლა, შევიდეს და იქიდან გამოიყენოს ეს ტრიბუნა. რატომაც არა?!

„ეტყობა, ბავშვს ხელი ყელში მოხვდა და გაიგუდა“

ზურაბ შავლიაშვილს ბრალი წაუყენეს

– განწირული ხმით ვყვიროდი, მეზობლებო, მიშველეთ, ბავშვს მომიკლავს-მეთქი, არავინ მომეშველა.

ამის შესახებ, გურჯაანში ოჯახური კონფლიქტის ფაქტზე, გარდაცვლილი ჩვილი ბავშვის დედამ განაცხადა.

დედა ასევე აცხადებს, რომ მეუღლემ ბავშვი ხელიდან გამოგლიჯა.

– აიყვანა და აჯანჯღარებდა რა ძალაც ჰქონდა. განწირული ხმით ვყვიროდი, „ხალხო, მიშველეთ.“ არავინ არ მიშველა, განწირული ხმით ვყვიროდი, მეზობლებო, მიშველეთ, ბავშვს მომიკლავს-მეთქი, არავინ არ მომეშველა. რომ გამოვედი დილით, ყველამ მე გადამიარა, ვითომ ბავშვი მე მოვკალი, – განაცხადა გარდაცვლილი ბავშვის დედამ „ტვ პირველთან“.

ბავშვის გარდაცვალების მიზეზზე ბავშვის დედა ამბობს:



– ქმარმა ხელიდან რომ გამომგლიჯა, ეტყობა, ისეთ არტერიაში მოარტყა,...ახალი ნაჭამი ჰქონდა და ეტყობა, ყელში მოუხვდა და გაგუდა.

36 წლის ზურაბ შავლიაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტრომ 9 მარტს დააკავა. გუშინ, 10 მარტს, მას ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. ბრალის წარდგენის პროცედურა ყვარლის წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩატარდა.

ბრალდებულის ადვოკატის, მინარი მურღვაშვილის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ოჯახური ძალადობის გარდა, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობასა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისთვისაც ედება ბრალი.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არ სურს ამ ამბის დეტალებზე საუბარი. რაც შეეხება ბრალს, პირველად მუხლს რამდენიმე დაემატა. შავლიაშვილი წარდგენილ ბრალში თავს დამნაშავედ არ ცნობს, – განაცხადა ადვოკატმა.

გამოძიება ზურაბ შავლიაშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 126?, 116– ე 11?, 19, 117– ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება. ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე გურჯაანის რაიონული სასამართლო დღეს, 11 მარტს, იმსჯელებს.

მშობლებისა და ბებიის მკვლელობაში ბრალდებულ ალექსანდრე აბრამიშვილს პატიმრობა შეეფარდა



თელავის რაიონულმა სასამართლომ მშობლების და ბებიის მკვლელობაში ბრალდებულის აღკვეთ ღონისძიებაზე იმსჯელა. მოსამართლე მამუკა წიკლაურმა დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და 28 წლის ალექსანდრე აბრამიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მიუსაჯა.

სხდომაზე დაკავებულის უფლებადამცველმა მოსამართლეს აღკვეთის გარეშე დატოვების შუამდგომლობით მიმართა. ლალი ჩაველაშვილის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს გარკვეული სახის ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, რამაც შესაძლოა მის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას.

სასამართლოს სხდომას ესწრებოდა თავად ბრალდებული, თუმცა დუმილის უფლება გამოიყენა.

შემთხვევა თელავში, გოშაძის ქუჩაზე 7 მარტს მოხდა. 28 წლის ალექსანდრე აბრამიშვილმა ცეცხლსასროლი იარაღით მშობლები და ბებია მოკლა, რის შემდეგაც პოლიციას თავად აცნობა. მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრების მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას გულისხმობს.

კახი ჟორდანია: „ან დამიბრუნეთ 2 მილიონი ევრო, ან მომეცით კლუბი „დენ ბოსხი“

ნიდერლანდური „დენ ბოსხისა“ და მერაბ ჟორდანიას ვაჟის, კახი ჟორდანიას დაპირისპირება 9 მარტს სასამართლოში გაგრძელდა.

2018 წლის ივლისის ბოლოს „დენ ბოსხმა“ კახი ჟორდანიასთან კლუბის გადაცემაზე შეთანხმებას მიაღწია და ქართველმა ბიზნესმენმა კლუბში ფული დააბანდა. მაგრამ ნიდერლანდების საფეხბურთო ასოციაციამ კახის გეგმებს ხაზი გადაუსვა. მიზეზად ფულის გათეთრების ეჭვი გახდა.

ამის გამო მან კლუბისგან, ჩადებული ინვესტიციების, ორი მილიონი ევროს დაბრუნება ან საფეხბურთო კლუბის გადაცემა მოითხოვა. მაგრამ სასამართლო პროცესზე „დენ ბოსხსაც“ სურს, რომ მისგან ასიათასობით ევრო მიიღოს.

სამშაბათს, მხარეები ერთმანეთს სასამართლო განხილვაზე შეხვდნენ, საკითხის განხილვა ექვს საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ჟორდანიამ, სხვა საკითხებთან ერთად, თქვა, რომ მას „დენ ბოსხის“ ფინანსურ მენეჯმენტზე წვდომა არ ჰქონდა და მიუთითა შეთანხმებაზე, რომელიც, მისი აზრით, დადებული იყო კლუბთან – თუ გუნდის ჩაბარებაზე „მწვანე შუქს“ არ აუნთებდნენ, ის თანხას დაიბრუნებდა. ამასთან, გუნდის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ეს პრეტენზიები უსაფუძვლო იყო და რომ თითქოს, ყველა ხარჯის გაცემაზე გადაწყვეტილება ჟორდანიამ და მისმა გარემოცვამ პირადად მიიღეს.

სასამართლომ მხარეებს მოსაფიქრებლად დრო მისცა.

მხარეებს შეთანხმების მისაღწევად ორი კვირა მიეცათ. თუ ეს ვერ მოხერხდება, სასამართლო მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში, განაჩენი გამოცხადდება 9 ივნისს. თუ ჟორდანია მართალი აღმოჩნდება, როგორც ჩანს, კლუბს არსებობის საფრთხე შეექმნება. რამდენიმე ინვესტორთან კლუბის გადაბარებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ ისინი სასამართლო პროცესის დასრულებას ელოდებიან.

„ბექა ნემსიწვერიძემ გიგა სადილიანი გაიტანა და მოკლა, მაგრამ არ დაუკავებიათ“

აქცია ქუთაისში

ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი ახალგაზრდის ოჯახმა პროკურატურასთან აქცია გამართა.

გიგა სადილიანის ახლობლები დამნაშავის დასჯას მოითხოვენ. მათი თქმით, ბექა ნემსიწვერიძე ველოსიპედით მოძრავ 19 წლის ბიჭს დაეჯახა, რომელიც ტრავმებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ოჯახის მტკიცებით, გამომძიებელმა გიორგი გოგბერაშვილმა ბექა ნემსიწვერიძე არ დააკავა, არ შეამოწმა ნარკოტიკებსა და სიმთვრალეზე, არ ამოიღო მობილური ტელეფონი და არ მოახდინა შემთხვევის ადგილის სრულყოფილი დათვალიერება, ასევე, გარდაცვლილის ოჯახი დაზარალებულად არ ცნეს.

აქციის მონაწილეები რეალურ გამოძიებას და დამნაშავის დასჯას მოითხოვენ. მათი თქმით, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, პროკურატურასთან შიმშილობას დაიწყებენ.

შემთხვევა ქუთაისში 2020 წელს მოხდა. საქმეზე გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო.

კობა ნაყოფია პროკურატურაში დაიბარეს

ნაციონალური მოძრაობის წევრი კობა ნაყოფია გენერალურ პროკურატურაში, 23 თებერვალს, პარტიის ცენტრალურ ოფისში ნიკა მელიას დაკავებისას ინვენტარის დაზიანებასთან დაკავშირებით მათი განცხადების საფუძველზე, გასაუბრებაზე დაიბარეს.

როგორც ნაყოფია განმარტავს, ნაციონალური მოძრაობის ოფისის აღების პროცესში დაზიანდა ინვენტარი, იყო მოპარული სერვერები და ვიდეო ჩაწერის ბლოკი, რაზეც პროკურატურას მალევე მიმართეს, თუმცა გამოძიება არ დაწყებულა.

მისივე თქმით, მოითხოვენ დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყებას და იმ ადამიანების დასჯას, რომლებმაც ეს დანაშაული ჩაიდინეს

– მოგეხსენებათ, რომ საზოგადოებამ დაინახა ის ვანდალიზმი, რაც განხორციელდა 23 თებერვალს, როდესაც შტურმით იღებდნენ მთავარი ოპოზიციური ძალის, ნაციონალური მოძრაობის ოფისს. ოფისის აღების პროცესში დაზიანდა ინვენტარი, იყო მოპარული სერვერები და ვიდეო ჩაწერის ბლოკი. ჩვენ მივმართეთ პროკურატურას, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება ამ ფაქტზე, ამის შემდეგ დაგვიკავშირდნენ პროკურატურიდან და გვთხოვეს გასაუბრება დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად. ვითხოვთ, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება და დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს ეს დანაშაული.

ოფისში ფუნქციონირებდა გარე კამერის ჩამწერი ბლოკი, რომელიც წაიღეს. ალბათ, აინტერესებდათ, ვინ მოდიოდა ოფისში და ვინ გადიოდა და ა.შ. თუმცა ამის კანონიერი უფლება არ გააჩნდათ. მეორე იყო სერვერები, რომლებზეც გვქონდა შიდა პარტიული მიმოწერები.

პოზიტიური მოლოდინი, რა თქმა უნდა, არ მაქვს, ამას ისევე ჩაფარცხავენ, როგორც ბევრ სხვა საქმეს, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას არ აწყობს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვლება და დამოუკიდებელი პროკურატურა ამას აუცილებლად გამოიძიებს, – აღნიშნა კობა ნაყოფიამ.

თბილისში, ფონიჭალასა და მარნეულში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, თბილისში, ფონიჭალის დასახლებასა და მარნეულში ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

დაკავებულები არიან: 2002 წელს დაბადებული რ.ი., 2002 წელს დაბადებული ა.ა., 2003 წელს დაბადებული ა.მ., 2002 წელს დაბადებული ე.ი., 1974 წელს დაბადებული ს.კ. და 1982 წელს დაბადებული ხ.ა., 1990 წელს დაბადებული ე.შ., 1987 წელს დაბადებული ე.ა., 1979 წელს დაბადებული ფ.ა., 1975 წელს დაბადებული ა.ა. და 1988 წელს დაბადებული ნ.მ.

დაკავებულებს ბრალად ედებათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები სისტემატურად ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები – 45 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინი“ და ფული ამოიღო.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

ყალბი 100 ლარიანების დამზადება-გასაღებისთვის 4 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე, ოთხი პირი დააკავეს. ამის შესახებ „ინტერვრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ სავაჭრო ობიექტებსა და სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით გაასაღეს ჯამში 11 300 ლარის ოდენობის 113 ცალი ყალბი 100 ლარიანი კუპიურა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10-დან 15 წლამდე ვადით.

ოზურგეთში სუპერმარკეტის დაყაჩაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

ოზურგეთში სამართალდამცავებმა 21 წლის მამაკაცი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

მამაკაცი სუპერმარკეტში შეიჭრა, მოლარეს ცივი იარაღის მუქარით 135 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული გ.ქ., ყაჩაღობის ბრალდებით, ოზურგეთში დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 5 მარტს, ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტ „მოდერნში“ შეიჭრა, მოლარეს ცივი იარაღის მუქარით 135 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა“ – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

გორში ტაქსის მძღოლი დაჭრეს

დააკავეს 17 წლის ნ.დ.

გორში ტაქსის მძღოლი დაჭრეს. შემთხვევა გუშინ, 10 მარტს, მოხდა.

მამაკაცს დაზიანებები ყელის არეში, ცივი იარაღით აქვს მიყენებული. ის „გორმედში“ გადაიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარეს.

– სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. კისრის არეში აღენიშნებოდა ბასრი საგნით მიყენებული გამჭოლი ჭრილობა. ოპერაციის შემდგომ, მისი მდგომარეობა ფასდება სტაბილურად მძიმედ, – განაცხადა ექიმმა მერაბ მაისურაძემ.

პოლიციამ ბრალდებული მალე დააკავა.

შსს-ის შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, 2003 წელს დაბადებული ნ.დ. გორში, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ტაქსისტს, 1965 წელს დაბადებულ გ.თ.-ს ცივი იარაღით ყელის არეში ჭრილობა მიაყენა. შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ამერიკელი კონგრესმენები „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის წინააღმდეგ



აშშ-ში გრძელდება აჟიოტაჟი რუსული პროექტის „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის წინააღმდეგ. 40-მა ამერიკელმა სენატორმა სახელმწიფო მდივან ბლინკენს წერილით მიმართა და „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის შეჩერება მოითხოვა. საქმე მხოლოდ ამით არ დასრულდა. სახელმწიფო მდივანს კიდევ 5-მა გავლენიანმა ამერიკელმა სენატორმა მიმართა.

„ჩრდილოეთის ნაკადი– 2“ რეალურ საშიშროებას ქმნის“ – წერენ სენატორები.

წერილის ავტორები ორ ფაქტორს უსვამენ ხაზს. 1) ხსენებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში აშშ-ის მოკავშირეები, უწინარეს ყოვლისა გერმანია და საფრანგეთი, რუსეთის შესაძლო დარტყმის წინაშე დაუცველნი აღმოჩნდებიან; 2) მკვეთრად დამძიმდება უკრაინის მდგომარეობა, რომელიც აშშ-ის ფასდაუდებელი პოტენციური მოკავშირეა; კიევი ტრანზიტული ქვეყნის სტატუსს დაკარგავს და ამით ისიც რუსეთის წინაშე დაუცველი ხდება.

– უკრაინაში გააქტიურდებიან ძალები, რომლებიც პუტინთან შერიგებას, ანუ კაპიტულაციას მოითხოვენ. ეს შეიძლება დასრულდეს ამ ქვეყნის დესტაბილიზაციით, – თვლიან სენატორები.

ამერიკის კონგრესმა ამას მხარი დაუჭირა. მართალია იქ დღეისათვის დემოკრატიული პარტიის წევრები დომინირებენ, მაგრამ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-თან მიმართებაში მათი პოზიცია რესპუბლიკელებისას მთლიანად ემთხვევა. კონგრესიც მხარს უჭერს იმას, რომ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის მიმართ უფრო რადიკალური სანქციები ამოქმედდეს.

– ბატონ ბაიდენის რიტორიკა შესანიშნავია! დადგა დრო, რომ სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ, – რესპუბლიკელი კონგრესმენის ამ სიტყვებს საყოველთაო აპლოდისმენტები მოჰყვა.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნედ პრაისმა აღიშნა, რომ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის მიმართ დამატებითი სანქციები შესაძლოა უკვე მაისში ამოქმედდეს. სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა კი განაცხადა, რომ მზადაა, კონგრესმენებს შეხვდეს, რათა „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის წინააღმდეგ სანქციების შემოღება განიხილოს.

სტრასბურში ხანძარმა კომპანია ქლაუდის სერვერები გაანადგურა

ევროპის უმსხვილეს ქლაუდ სერვისების პროვაიდერი კომპანიის სტრასბურის განყოფილებაში გაჩენილმა ხანძარმა სერვერების ნაწილი გაანადგურა, ნაწილის მუშაობა კი დროებით გააჩერა.

კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ხანძარი 10 მარტს მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ ცენტრში გაჩნდა.

მეხანძრეებმა ხანძრის გავრცელება აღკვეთეს და კომპანიის თანამშრომლების უსაფრთხოება უზრუნველყვეს.

ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

კომპანიამ განმარტა, რომ ხანძარმა გაანადგურა ოთხიდან ერთი მონაცემთა ცენტრი, ხოლო მეორე დაზიანა. დარჩენილი ორი კი გათიშეს, რომ ზიანი არ მისდგომოდა.

კომპანიამ განაცხადა, რომ კლიენტებს აცნობებს ხანძრის მიზეზებისა და შედეგების შესახებ.

კომპანია ქლაუდს, რომელიც 1999 წელს შეიქმნა, საფრანგეთში მონაცემთა 17 ცენტრი აქვს, მსოფლიოში კი – 32.

კლიენტების ნაწილი აცხადებს, რომ მათი ვებგვერდები გაითიშა და ელექტრონულ ფოსტაზე წვდომა არ აქვთ.

ჯერჯერობით უცნობია, დაიკარგა თუ არა მონაცემები.

გერმანია ვაქცინაციის პროცესს აპრილიდან დააჩქარებს

გერმანია კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესს აპრილიდან დააჩქარებს, როდესაც აცრების გაკეთებას ზოგადი პროფილის ექიმები დაიწყებენ.

ამის შესახებ გერმანიის ჯანდაცვის მინისტრმა იენს შპანმა განაცხადა.

თუმცა, მისი თქმით, ყოველთვიურად ვაქცინირებული ადამიანების რაოდენობა მაშინვე მკვეთრად ვერ გაიზრდება.

– ვაქცინაციის რიცხვი დაუყოვნებლივ, თვეში 20 მილიონამდე ან კვირაში 10 მილიონამდე, ვერ გაიზრდება, – აღნიშნა იენს შპანმა.

გერმანიაში მოსახლეობის ვაქცინაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს. ბოლო მონაცემებით, ამ დრომდე კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის, სულ მცირე, ერთი დოზა ქვეყნის 83-მილიონიანი მოსახლეობის მხოლოდ 6.4% აქვს მიღებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

უეფამ მსაჯი წლის ბოლომდე დასაჯა

გეხსომებათ, მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ბაშაქშეჰირისა და პსჟ-ს მატჩისას მომხდარ ინციდენტი, როდესაც თურქულმა გუნდმა მოედანი პირველ ტაიმში პროტესტის ნიშნად დატოვა.

ბაშაქშეჰირის ფეხბურთელებმა ჩათვალეს, რომ მათ ერთ-ერთ თანაგუნდელს, კერძოდ კი, პიერ ვებოს არბიტრმა რასისტული სახის შეურაცხყოფა მიაყენა. საუბარია არა მთავარ მსაჯზე, არამედ მატჩის მეოთხე არბიტრზე.

რუმინელმა არბიტრმა სებასტიან ჩოლტესკუმ, რასისტული სახის სიტყვა წარმოთქვა. ყოველ შემთხვევაში, ბაშაქშეჰირის ფეხბურთელებმა ასე ჩათვალეს და სკანდალიც აქ დაიწყო.

მთავარმა არბიტრმა, ჩოლტესკუს ჰკითხა, თუ წითელი ბარათი ვისთვის უნდა მიეცა, მან კი რუმინულად უპასუხა – „ამ შავ ბიჭს“. ბაშაქშეჰირის ფეხბურთელი დემბა ბაც ამან გაახელა და გაღიზიანებულმა მეოთხე არბიტრს პასუხი მოსთხოვა, თუ რატომ თქვა შეურაცხმყოფელი სიტყვა.

მოკლედ, უეფას სადისციპლინო და ეთიკის კომიტეტმა ამ საკითხზე ახლა იმსჯელა და ვერდიქტიც გამოიტანა. მეოთხე არბიტრს სებასტიან ჩოლესკუს საქმიანობა სეზონის ბოლომდე აეკრძალა, მთავარი არბიტრის დამხმარეს ოქტავიან შოვრეს კი საყვედური გამოუცხადეს.

უეფას ოფიციალური განცხადების მიხედვით, არბიტრებს მე-11 მუხლი, რომელიც რასობრივი ან სხვა სახის დისკრიმინაციას ეხება, არ დაურღვევიათ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჟანრი

ძიძამ ილონ მასკის ბავშვებსა და უცნაურ თხოვნაზე ისაუბრა

ამერიკელმა ქალბატონმა ტიკტოკში ისაუბრა მილიარდერ ილონ მასკის ბავშვებზე, რომელთა ზედამხედველობა დაეკისრა იმ დროს, როდესაც ძიძად მუშაობდა.

აი იამატოს თქმით, ერთხელ იმ ოჯახში, სადაც ის ძიძად მუშაობდა, სტუმრად იმყოფებოდა სამი ტყუპი ბიჭი, რომელთაც ერქვათ კაი, საქსონი და დემიანი. მან მხოლოდ მოგვიანებით გაიგო, რომ ისინი ილონ მასკის შვილები იყვნენ.

დროის უმეტეს ნაწილს ბავშვები მარიოს თამაშსა და აუზში გართობაში ატარებდნენ. იამატო ამტკიცებს, რომ ტყუპები მეტად ზრდილობიანი, კარგად აღზრდილი ბავშვები იყვნენ. ის ძალიან გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ მათ Whole Foods-ის, ძვირადღირებული სუპერმარკეტების ქსელის საჭმელი მოითხოვეს, რომელიც ჯანსაღი კვების პროდუქტებით ვაჭრობს. ძიძამ ეს თხოვნა უცნაურად ჩათვალა იმის გამო, რომ მათ ასაკში მოზარდები იშვიათად ზრუნავენ საკუთარ ჯანმრთელობაზე.

კომპანია ტესლას დამაარსებელ ილონ მასკს და მის ყოფილ მეუღლე ჯასთინ უილსონს ხუთი შვილი ჰყავთ: 17 წლის ტყუპები გრიფინი და ქსავიერი, რომლებიც 2004 წელს შეეძინათ და სამი ტყუპი კაი, საქსონი და დემიანი, რომლებიც 2006 წელს არიან დაბადებულები. მილიარდერის მეექვსე შვილის დედა გახდა მომღერალი გრაიმზი. მეექვსე შვილი მასკს 2020 წელს შეეძინა და მას სახელად X AE A-Xii-ი დაარქვეს.

სადილად წასულმა ოჯახმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა

სამხრეთ ავსტრალიის ქალაქ ფულარტონის მცხოვრები ქალი მეუღლესთან ერთად სადილად წავიდა და ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

ავსტრალიელის თქმით, ის და მისი მეუღლე სასტუმროში დაბინავდნენ და სადილად წავიდნენ. შეკვეთის ლოდინის დროს წყვილმა გადაწყვიტა ლატარია ეთამაშა. მათ არ დაუწყიათ თავად რიცხვების შერჩევა და შემთხვევითი რიცხვების გენერატორს მიანდეს არჩევანის გაკეთება.

ქალის თქმით, ეს მოგება მათთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა.

– ჩვენ თამაშს თვალს არ ვადევნებდით და რიცხვები მანამდე არ შეგვიმოწმებია, სანამ ბარმენი არ მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, რომ დრო იყო ჩვენი ბილეთები შეგვემოწმებინა, ვინაიდან დაწესებულებაში მყოფთაგან ვიღაცამ დიდი თანხა მოიგო, – განმარტა ქალმა.

საბოლოოდ წყვილმა 1,1 მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო. წყვილმა გადაწყვიტა, მოგებული თანხა ბანკში საკუთარ ანგარიშზე ჩარიცხოს, სანამ გადაწყვეტენ თუ რაში დახარჯავენ მოგებულ ფულს.

გიგანტურმა კენგურუებმა ერთმანეთთან კრივი გამართეს

ავსტრალიის ტასმანიის შტატის დასახლება ლუკასტონის მკვიდრმა ქალმა ვიდეოზე გადაიღო გიგანტური კენგურუების მიერ გზის პირას გამართული კრივი.

ჯუდით ბრენსონმა ავტომობილი იმისთვის შეაჩერა, რომ ვიდეოზე გადაეღო ჩანთოსანი ცხოველების დაპირისპირება, რომლებმაც, მისი თქმით, ისეთი ორთაბრძოლა გამართეს, რომლის სანახავად ფულის გადახდაც არ დაეინანებოდა.

კენგურუებს მანქანა არც კი შეუმჩნევიათ და მანამდე გააგრძელეს ორთაბრძოლა, სანამ ერთ-ერთმა არ გადაწყვიტა, რომ უკან დაეხია და იქაურობას გასცლოდა.

ორთაბრძოლაში ორი ახალგაზრდა კენგურუ მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ისინი ტასმანიის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი ჩანთოსანი ცხოველები არიან. მოზრდილების სიმაღლე ორ მეტრს აღწევს, ხოლო წონა 60 კილოგრამს აღემატება.

მოზარდი რვა წელი ცხვირით ტყვიას ატარებდა

მოზარდს ცხვირიდან გამოუღეს ტყვია, რომელიც იქ დაახლოებით რვა წლის წინ გაეჭედა.

მოზარდმა სპეციალისტს პირველად 15 წლის ასაკში მიმართა. მან ექიმს შესჩივლა, რომ რამდენიმე წელია ცხვირის გაჭედვა სტანჯავს და სუნის შეგრძნებაც საგრძნობლად დაქვეითებული აქვს. ექიმმა მოზარდი ენდოსკოპის გამოყენებით გასინჯა და შენიშნა, რომ მას ცხვირის ნიჟარები გაფართოებული ჰქონდა. მან პაციენტს ცხვირის სპრეი და ანტიგისტამინური წამალი გამოუწერა და განმეორებით გამოკვლევაზე რამდენიმე კვირის შემდეგ დაიბარა.

მოზარდი ექიმთან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა. მან უთხრა, რომ წამლებმა ვერ უშველა. კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ უჩვენა, რომ მის ცხვირში ცხრა მილიმეტრის დიამეტრის უცხო სხეული იმყოფებოდა.

მოზარდს ოპერაცია გაუკეთდა და მისი ცხვირიდან ლითონის ბურთულა ამოიღეს, რომელიც ცხვირის ქვედა ნიჟარის უკან მდებარეობდა. როგორც შემდეგ გაირკვა, რვა თუ ცხრა წლის წინ მას ცხვირში ტყვია პნევმატური პისტოლეტიდან გასროლის შედეგად მოხვდა. ბიჭმა ვერ შენიშნა, რომ ტყვია ცხვირში გაეჭედა და თავდაპირველად რაიმე სახის გართულებებს არ განიცდიდა. სწორედ ამიტომ არ მიიყვანეს მშობლებმა ის ექიმთან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადო-თვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

საზოგადოება

გიორგი ალექსიძეს ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვებენ

ქორეოგრაფ გიორგი ალექსიძეს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ქართულ ბალეტში და ქორეოგრაფიაში შეტანილი წვლილისა და აღმატებული ღვაწლისათვის პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვებს!

ინფორმაცია ქორეოგრაფის შვილმა მარიამ ალექსიძემ გაავრცელა:

– ნათელი, კეთილშობილი, დიდი ენერგიის, იუმორის, ერუდიციის, ინტელექტის, ნოვატორული ხედვის, მაღალი გემოვნების, უკომპრომისო, ფაქიზი სულის მქონე ხელოვანი და ძლიერი პიროვნება საბჭოთა კავშირმა რკინის ფარდის მიღმა მოაქცია, საკუთარ ქვეყანაში ხშირად გულს სტკენდნენ, მაგრამ ის, როგორც მითოლოგიური ჩიტი „ფენიქსი“, ფერფლიდან კვლავ აღმოცენდებოდა ხოლმე და შემოქმედებით გზას რწმენით, მოთმინებით, თავგანწირვითა და სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე აგრძელებდა.

გიორგი ალექსიძის შემოქმედება ცოცხალია თბილისის თანამედროვე ბალეტის დასისა და გიორგი ალექსიძის ფონდის საქმიანობის შედეგად, რამაც მისი სახელის გაცოცხლება, ქორეოგრაფიის აღდგენა და დაბრუნება, ახალგაზრდა თაობისათვის მისი ღვაწლის შენარჩუნება განაპირობა და ჩვენ მიერ განსხვავებულად, თანამედროვედ, ახლებურად ვითარდება. დღეს კი, გიორგი ალექსიძის მიერ ქართულ ბალეტში შეტანილ უდიდეს წვლილს პატივი მიეგება პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენის გადაცემით.

დიდი მადლობა ქალბატონ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ამ გადაწყვეტილებისათვის!

ქართულმა ფილმმა ფიპრესის ჯილდო მოიგო

ალექსანდრე კობერიძის ფილმმა „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ“ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ბერლინალე 2021“ ფიპრესის ჯილდო – კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ჯილდო მოიგო.

თითქმის 30-წლიანი პაუზის შემდეგ, საქართველო ბერლინალეს მთავარ კონკურსში დაბრუნდა. ალექსანდრე კობერიძის ფილმი „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ“ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში აჩვენეს.

კინოფესტივალი წელს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა. ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ონლაინ დაჯილდოებამდე რამდენიმე წუთით ადრე, კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციამ ჯილდოები გასცა და რჩეულთა შორის ქართული ფილმიც აღმოჩნდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჟანრი

ნიანგმა, რომელიც საკუთარ ბუდეს იცავდა, მწყემსი დაგლიჯა

ინდოეთის ტელენგანის შტატის ქალაქ ხაიდარაბადის მახლობლად, მდინარე მანჯირას ნაპირთან, ნიანგმა მწყემსი დაგლიჯა.

ადგილობრივი სოფლის მკვიდრი, 50 წლის ჯი რამულუ, მდინარესთან ნახირს მწყემსავდა. ერთ-ერთი ძროხა წყალში ჩარჩა და მის ნაპირზე გამოსაყვანად მამაკაცი მდინარეში შევიდა.

ამ დროს ინდოელი წინდაუხედავად მიუახლოვდა ნიანგის ბუდეს, რომელშიც რეპტილიას კვერცხები ჰქონდა დადებული. მტაცებელმა ჩათვალა, რომ მის შთამომავლობას საფრთხე ემუქრებოდა და რამულუს თავს დაესხა.

ნიანგმა მწყემსი წყლის სიღრმეში ჩაითრია და მან მისი ყბებისგან თავის დაღწევა ვერ შეძლო. როდესაც მამაკაცის ცხედარი იპოვეს, სოფლის მცხოვრებლებმა მის გაკვეთაზე უარი განაცხადეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იოსებ ტყემალაძე რაგბის კავშირს უხელმძღვანელებს

არეულობა გრძელდება

საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) პრეზიდენტის არჩევნები და მომდევნო 4 წლის მანძილზე სრკ-ს იოსებ ტყემალაძე უხელმძღვანელებს.

საპრეზიდენტო არჩევნები რომ ჩატარებულიყო, ქვორუმისთვის საჭირო იყო 38 ხმა. რეგისტრაცია კი 42 ხმის მქონე 25-მა დელეგატმა გაიარა. დელეგატებმა ერთხმად აირჩიეს ერთადერთი კანდიდატი.

არჩევნებზე იყვნენ როგორც ტყემალაძის, ასევე 30 დეკემბერს არჩეული და შემდეგ არალეგიტიმურად ცნობილი ირაკლი აბუსერიძის მომხრეები. პლუს, ძალიან ბევრი სამართალდამცავი.

არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატის მისვლას ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. აბუსერიძის მომხრეებმა ყრილობის ჩატარების ადგილზე შესვლა სცადეს, მაგრამ სამართალდამცავებმა მალევე შეაკავეს და ისევ რკინის ჯებირებს მიღმა გადაუშვეს.

საბოლოოდ, არჩევნები შედგა და კავშირს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. თუმცა, პროცედურულად კიდევ რამდენიმე დღეა საჭირო, რომ საჯარო რეესტრმა დაარეგისტრიროს.

არჩევნების შემდეგ ტყემალაძემ ჟურნალისტებთან ისაუბრა.

იოსებ ტყემალაძე:

– წელიწადნახევარია რაგბის კავშირი უპრეზიდენტოდ არის, ამიტომ ვულოცავ ყველას, რომ ეს სანატრელი დღე დადგა. იყო დაპირისპირებები, ცილისწამებები, ახლა, როდესაც ვნებები ჩამცხრალია, უსწრაფესად გადავალთ საქმეზე. აბუსერიძის მხრიდან ბევრ სიცრუეს და ტყუილს ჰქონდა ადგილი. არ ვმალავ იმას, რომ ბიძინა ივანიშვილთან ღია ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამან რამე გავლენა იქონია არჩევნებზე. ივანიშვილი რაგბს ჩემამდეც ეხმარებოდა და ჩემს მერეც დაეხმარება. ტყუილია ისიც, რომ ჩვენ 7 თვის ბავშვის ჯანმრთელობით ვმანიპულირებდით. ალბათ ტელევიზიებში ნახეთ კახა ხაბაზის მიმართვა, სადაც ჩვენი მხრიდან რამე მანიპულირების კვალი არ იკვეთება.

მივმართავ აბუსერიძის მხარდამჭერებს – ძალადობის გარეშე მოხდეს ყველაფერი, რადგან ეს მათ აზიანებს. სურვილი მაქვს რაგბი იყოს ისევ ერთიანი. გამგეობის წევრად მათი გუნდის წევრი ილია ზედგინიძე დავასახელე. ის ძალიან განათლებული პიროვნებაა და საჭიროა ქართული რაგბისთვის. ჩვენ თანამშრომლობისთვის ყველასთან მზად ვართ. სარაგბო ოჯახში 30-40 ათასი მორაგბეა, აბუსერიძის მხარდამჭერები კი, მაქსიმუმ 300-500 ადამიანი იყო მოსული. ისინი უმცირესობაში არიან და ხელს ნუ შეგვიშლიან მუშაობაში.

როგორც ვიცი, დაახლოებით 6 მილიონი ლარია ვალი. სხვა დეტალები ჯერ ბოლომდე არ ვიცი, რადგან ჯერ რაგბის კავშირში არც ვყოფილვარ, რათა დოკუმენტები მენახა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, ერთპიროვნულად გადაწყვეტილებას არ მივიღებ. გამოცდილ მწვრთნელებთან და სპეციალისტებთან ერთად შეიქმნება პატარა კომიტეტი და მათთან ერთად მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას.

აბუსერიძე და მისი მხარდამჭერები საქმის ასე მიტოვებას არ აპირებენ. პრეზიდენტი კი აირჩიეს, მაგრამ ჯერ კიდევ ყრილობის დაწყებამდე ოპონენტები აცხადებდნენ, რომ მათი თანამშრომლობა არ შედგება და დესტრუქციულ ქმედებებს მიმართავენ, მაგრამ რა გზებით, კონკრეტულად არ უთქვამთ.

ირაკლი აბუსერიძე:

– სამწუხაროა, რომ არჩევნებში აზრი არამორაგბეებმა დააფიქსირეს. ვისაც ნება და უფლება ჰქონდა, აიძულეს, რომ სხვებისთვის გადაეცათ მინდობილობები. ჩვენ ამ უსამართლობას არ შევეგუებით. სამარცხვინოა, რაც დღეს მოხდა და რა ფორმითაც ჩაატარეს ეს არჩევნები. არავის მოვუწოდებთ, რომ ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი ქვან. ამას თავად კლუბები გადაწყვეტენ. პროტესტი გაგრძელდება – რაც ხდება, ამაზრზენია. დაველოდით მოვლენების განვითარებას. ტყემალაძესთან შეხვედრას არ ვაპირებთ, ჩვენი გეგმა გვაქვს. შევიკრიბებით და ვიმსჯელებთ სიტუაციაზეც და სამომავლო გეგმებზეც. გრძელდება ბოლო წლების პოლიტიკა. ხელების გადაგრეხვით სურთ პრეზიდენტად მოსვლა.

თბილისის დინამომ ბათუმის დინამოსთან ნააგო

დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 0:1

თბილისი. დინამო არენა

0:1 მანჯგალაძე (66)

დინამო (თბ): კვასხვაძე, სპორსკლედე, ბენიო, მონხილი, რადინი, პაპავა (კობოური 33), მექვაბიშვილი (ქარდავა 78), გაგნიძე (კეიტა 78), გაბედავა (კუცია), ახვლედიანი (კასტრო 46), მარუშიჩი

დინამო (ბთ): კუპატაძე, აზაროვი (ნავალოვსკი 90), აზაკაკი, კობახიძე, ჩაბრაძე, ტეიდი (ჩუკვურა 90), ჯიღაური, მანჯგალაძე, მამუჩაშვილი (ფანცულაია 81), ალთუნაშვილი, ნიქაბაძე (მჭედლიძე 75)

ეროვნული ლიგის მესამე ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისში, დინამო თბილისსა და დინამო ბათუმს შორის გაიმართა, რომელსაც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი შტაბთან ერთად ესწრებოდა.

ეროვნული გუნდის ახალი თავკაცის თვალწინ მაინცდამაინც სანახაობრივი თამაში არ გამართულა. ეს პირველ რიგში გასული სეზონის ჩემპიონზე, თბილისის დინამოზე ითქმის. გუნდმა, რომელმაც საქართველო ზაფხულში ჩემპიონთა ლიგაზე უნდა წარმოადგინოს, 90 წუთის მანძილზე ერთხელაც ვერ დაარტყა კარის ჩარჩოში.

ცხადია, თუ კარში არ დაარტყი, ვერც მოიგებ. შედეგად მატჩი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. დაპირისპირებაში ერთადერთი გოლი 66-ე წუთზე გიული მანჯგალაძის ულამაზეს დარტყმას მოჰყვა.

უნდა აღინიშნოს, რომ გატანილ გოლამდე ყველაზე სახიფათო მომენტი, ისევ მანჯგალაძეს ჰქონდა. ბათუმელთა მიერ ანგარიშის გახსნას, მასპინძელთა გააქტიურება არ მოჰყოლია. მატჩის მიწურულს მომენტების შექმნა ისევ ბათუმელებმა შეძლეს.

შუქურა-სამტრედია 1:0

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

1:0 ჯერლადო (77)

შუქურა: თებიძე, ფარტენაძე, ჭანტურია, მუსელიანი (გურეშიძე 89), ჩელებაძე (ხმალაძე 46), ინგოროყვა (ჟუნინიო 46), კომახიძე (გაფრინდაშვილი 86), სარდალიშვილი, რეხვიაშვილი, კაკაშვილი, ჯერალდო

სამტრედია: კულუა, გადირზადე, კვირკვია (ნადირაძე 73), მესიაჩენკო (დ.ჯიქია 62), ჟუნიორი, იოსელიანი, ვარიეტი, რობაქიძე, მასკარენია, კერძევაძე, სამბუ

ქობულეთის შუქურამ ზესტაფონში უმასპინძლა სამტრედიას. მატჩით ზღვისპირელთა გამარჯვებით დასრულდა – 1:0.

ორივე გუნდს ამ სეზონში ერთი ამოცანა აქვთ – შეინარჩუნონ ადგილი ელიტაში. შედეგად, ერთმანეთში ქულების დაკარგვა მათ გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ ეს ამოცანა მხოლოდ შუქურამ შეასრულა და ჯეფერსონ ჯერალდოს უნიკალური გოლით მოიგო.

ბრაზილიელმა მართლაც ჩინებული შეაგდო – ფლანგიდან მირზა ფარტენაძის ჩაწოდებულ ბურთზე ჰაერში აიწია და „მაკრატელა“ დარტყმით დაამწუხრა გიორგი კულუა.

ამ მოგებით შუქურას უკვე 4 ქულა გაუხდა, ხოლო სამტრედია კვლავ უქულოა და ცხრილის ფსკერზეა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	3	2	1	0	3-1	7
2.დილა	2	2	0	0	3-0	6
3.დინამო (თბ)	3	1	1	1	3-2	4
4.საბურთალო	2	1	1	0	2-0	4
5.შუქურა	3	1	1	1	2-2	4
6.თელავი	2	1	0	1	3-3	3
7.ლოკომოტივი	2	1	0	1	3-4	3
8.სამგურალი	2	0	2	0	1-1	2
9.ტორპედო	2	0	0	2	0-3	0
10.სამტრედია	3	0	0	3	0-4	0

დორტმუნდი და პორტუ მეოთხედფინალში გავიდნენ

დორტმუნდი-სევილია 2:2

1:0, 2:0 ჰოლანდი (35, 54პ), 2:1, 2:2 ენ ნესირი (69პ, 90)

დორტმუნდს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური პირველი მატჩი სტუმრად 3:2 ჰქონდა მოგებული და თითქოს მშვიდად უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერლინგ ჰოლანდმა დუბლი შეასრულა და გერმანელები 2:0 დააწინაურა.

სევილია უკვე 3 გოლის გატანა სჭირდებოდა, მაგრამ ხულენ ლოპეტეგის გუნდი არ გატყდა. ანდალუსიელთა მწვრთნელმა შეცვლებით თამაშში გააცოცხლა და სევილიამ 69-ე წუთზე ანგარიში იუსეფ ენ-ნესირის გოლით შეამცირეს, მანვე შეხვედრის მიწურულს მეორეც გაიტანა. ესპანელებს კიდევ ერთი გოლი უნდოდათ, რათა მატჩი დამატებით დროში გადაეყვანათ, მაგრამ საამისოდ დრო აღარ ეყოთ.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდი გახდა ჩემპიონთა ლიგის რეკორდსმენი, რომელმაც ამ ტურნირზე 20 ბურთის გატანა ყველაზე სწრაფად მოახერხა. ტოტენჰემის შემტევ ჰარი კეინს საამისოდ 24 თამაშის ჩატარება დასჭირდა, ხოლო იუვენტუსის ექს-ფორვარდ ალეკს დელ პიეროს – 26-ის.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ერლინგ ჰოლანდი

მოედანზე 2 გმირი იყო, ორივე ცენტრფორვარდი. თუმცა, შემდეგ ეტაპზე ერთი გავიდა და ეს ერლინგ ჰოლანდია. ნორვეგიელი აგრძელებს დორტმუნდის სვლას ჩემპიონთა ლიგაზე.

იუვენტუსი-პორტუ 3:2 (დდ)

0:1 ოლივეირა (19პ), 1:1, 2:1 კიეზა (49, 63), 2:2 ოლივეირა (115), 3:2 რაბიო (117)

გაძევება: ტარემი (პორტუ)

დამატებით დროში გადავიდა ტურინის იუვენტუსისა და პორტუს დაპირისპირება. პირველი შეხვედრა პორტუმ 2:1 მოიგო. მასპინძელთა გამარჯვებით ტურინშიც ზუსტად იგივე ანგარიში დაფიქსირდა.



არადა, სერჟიო ოლივეირას გოლით დასაწყისში პორტუგალიელები იგებდნენ. თუმცა, მეორე ტაიმის დასაწყისში ფედერიკო კიეზამ გაათანაბრა, შემდეგ პორტუგალიელებს მეჰდი ტარემი გაუგდეს. რიცხობრივი უპირატესობა იუვემ გამოიყენა და იმავე კიეზას გოლით თამაში ოვერტაიმში გადავიდა.

იქ კი დრამა გათამაშდა: დროის ამოწურვას 4 წუთი აკლდა, როდესაც ოლივეირამ ჯარიმით ანგარიში გაათანაბრა. ორ წუთში ადრიენ რაბიომ ისევ წინ გაიყვანა ტურინელები და იუვემ კიდევ ერთ გოლზე გაიწია, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ პირნეელები მეკარემ იხსნა და მეოთხეფინალში პორტუ გავიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სერჟიუ ოლივეირა

პორტუმ გმირულად იბრძოლა და მათგან ბევრი ფეხბურთელის დასახელება შეიძლებოდა, თუმცა, ჩვენ ოლივეირა გამოვარჩიეთ. მისი გოლები გადამწყვეტი აღმოჩნდა, რათა პორტუ მეოთხედფინალში გასულიყო.

ანდრეა პირლო:

– მოვლენები სულ სხვა სცენარით შეიძლებოდა განვითარებულიყო. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, მატჩის დებიუტში მორატას რომ გაეტანა, მაგრამ ეს ფეხბურთია. კარში ყველა დარტყმულს გოლად ვერ აქცევ. ამიტომაც არიან მეკარეები, რომ არ გაგატანონ. შემდეგ ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა. ასეთ მატჩებში გოლის გაშვება კი ვითარებას რადიკალურად ცვლის. ვიცოდით, რომ იოლი დაპირისპირება არ გველოდა. პორტუს სახით შეკრული და მოტივირებული მეტოქე გვყავდა. ასეთია მწვრთნელის ცხოვრება და საქმიანობა. ეს პირველად დამემართა და მართლა ძალიან ცუდი შეგრძნება ყოფილა. ველარაფერს შევცვლით. შინაურ ასპარეზზე უნდა გადმოვერთოთ და სკუდეტოს შესანარჩუნებლად ბრძოლა გავაგრძელოთ.

სერჟიო კონსეისაო:

– ასეთი გამარჯვებებით იწერება კლუბის ისტორია. მსგავს დრამატულ მოგებას ყოველთვის სხვა გემო აქვს. მართალია, მატჩი წავაგეთ, მაგრამ მთავარი მიზანი მიღწეულია და ჩვენ მომდევნო ეტაპზე ვართ. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. პორტუ ის გუნდია, რომელმაც იცის იუვენტუსის და ზოგადად ევროპის სხვა გრანდებთან როგორ უნდა ითამაშოს. ფეხბურთელებმა ზუსტად გაიგეს მათგან რას ვითხოვდი და დავალებაც იდეალურად შეასრულეს. ბუნებრივია, რთული თამაში იყო, თუმცა ალბათ მარტო ჩვენთვის არა. მეტოქესაც საკმაოზე მეტი პრობლემები შევუქმენით. როდესაც კაცნაკლული დავრჩით, ჩვენი ნამდვილი სახეც მაშინ გამოჩნდა. პორტუმ ეს გამარჯვება დაიმსახურა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლიოვი მიდის, კლოპს არ სურს

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იოაჰიმ ლიოვის 15-წლიან ეპოპეას წერტილი დაესმება. დიახ, ლიოვი გერმანიის ნაკრებს ტოვებს. ეს ამბავი გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდმა უკვე დაადასტურა.

იოახიმ ლიოვის კონტრაქტი ძალაში 2022 წლის მუნდიალის ბოლომდე იყო, თუმცა გერმანელმა სპეციალისტმა წასვლა თავად ითხოვა და ფედერაციასაც თავი არ გამოუდვია.ლიოვმა გერმანიის ნაკრები 2006 წელს ჩაიბარა და მისი თავკაცობით გუნდმა 6 მსხვილ საფეხბურთო ფორუმზე იასპარეზა. ყველაზე გამოსაყოფი კი, რა თქმა უნდა, 2014 წელს ბრაზილიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატია, რომელიც გერმანიის ნაკრების სრული ტრიუმფით დასრულდა. ამას გარდა, ლიოვის მწვრთნელობის პერიოდში გერმანელებმა ევროპის ჩემპიონატებზე ერთხელ ვერცხლი და ორჯერ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. 2017 წელს კი კონფედერაციის თასიც მოიგეს.

გერმანელები მაშინვე შეუდგნენ საუკეთესო ვარიანტის ძებნას და, ცხადია, ამ ვერსიებში იურგენ კლოპის სახელმაც გაიუღერა.

თავად კლოპმა „სქაი სპორტთან“ საუბრისას მტკიცედ უარყო გერმანიის ნაკრების პოტენციური მწვრთნელობა:

იურგენ კლოპი:

– ვარ თუ არა ხელმისაწვდომი გერმანელთათვის? არა. ვიქნები თუ არა ზაფხულის შემდეგ? ისევ, არა. ლივერპულში 3 წელი დამრჩა და ვაპირებ, ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენო. რა თქმა უნდა, ახალ კონტრაქტზეც ხელს მოვაწერ, მაგრამ ამაზე საუბარი ნაადრევია.

ამბობენ, კლოპის უარის შემთხვევაში ლიოვს ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ბაიერნის თავკაცი ჰანს დიტერ-ფლიკი შეცვლისო.

შედეგები

9 მარტი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

დორტმუნდი-სევილია 2:2

იუვენტუსი-პორტუ ..... 3:2(დდ)

ინგლისი. ჩემპიონიბა

ბლეკბერნი-სუონსი 1:1

ქპრ-უიკომბი 1:0

ნიდერლანდები. ეროვნული

ვენლო-სპარტა 0:1

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. იაფფასიანი ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისთვის; 5. საჭმელი სოკო; 6. იტალიელი კომპოზიტორი, მეეიოლინე; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. აკვიატებული შიში; 16. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ მებრძოლი სამხედრო გემი; 20. ქართველი სუმოისტი; 23. ქუდების მკერავი ძველად საქართველოში; 24. ჯეიმს ჯოისის რომანი; 25. მდინარე ოზურგეთში; 26. უბანი ქუთაისში.

თარაზულად: 7. კურორტი დუშეთის რაიონში; 8. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 12. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 13. დაბალი ხის მაგიდა; 15. მდინარე ევროპაში; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. საიდუმლო წერისთვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტთათვის; 28. ქართველ სახალხო მკურნალთა გვარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტოიოტა; 2. ლორენი; 3. ტორფი; 5. კრკა; 6. ნაგანი; 8. კენკრა; 11. ტარანტინო; 13. პრომილე; 14. ჰელიოსი; 15. ნიმეირი; 19. ტროა.

თარაზულად: 1. ტრიფოლიატი; 4. კანკანი; 7. იომიური; 9. ფაზენდა; 10. ატენი; 12. აშკენაზი; 16. სატელიტი; 17. ტორნადო; 18. სიკოფანტი; 20. ნეკრესი; 21. ნეტო; 22. დიპტანკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კატაი; 2. დრონი; 3. კრახუნა; 4. ჯაკო; 5. შოვი; 6. ფილიპსი; 9. წულრუღაშენი; 10. ალტიმეტრი; 11. ხევსურეთი; 14. ვიშნუ; 16. ფლეში; 18. სპირალი; 20. ნეკრესი; 23. პატი; 24. მარლი; 25. ალენი; 26. მესა.

თარაზულად: 7. ბრილიანტი; 8. კორონაცია; 12. გუელი; 13. შერპი; 15. თართი; 17. შიომღვიმე; 19. შაშვი; 21. დიდრო; 22. ეთიკა; 27. ალიგატორი; 28. მერსედესი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3238

ევრო — 3.9537

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6148

100 რუსული რუბლი — 4.4895

ამინდის პროგნოზი 11 მარტისათვის

რონალდ არაუხომ ვარჯიში განაახლა

ბარსელონას ურუგვაელმა ცენტრალურმა მცველმა რონალდ არაუხომ ვარჯიში განაახლა და ის დიდი ალბათობით მალე მოედანსაც დაუბრუნდება, თუმცა ზუსტად როდის მოხდება ეს, ცნობილი არ არის.

არაუხომ სევილიასთან შეხვედრაში ტრავმა გაიმიზეზა და შესაძლოა ის ნაადრევად დაბრუნდა მოედანზე. ამჯერად, არაუხოს თქმით, ის იგივე შეცდომას აღარ დაუშვებს და მოედანზე მხოლოდ იმ დროს დაბრუნდება, როდესაც ბოლომდე მზად იქნება ამისთვის.

ვარანს რეალიდან წასვლა არ სურს

მადრიდის რეალის ფრანგ ცენტრალურ მცველს რაფაელ ვარანს გუნდიდან წასვლა არ სურს და ის რეალთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. საუბარია სამწლიან კონტრაქტზე და ანაზღაურების გაზრდაზე, თუმცა ამ მოთხოვნას, სავარაუდოდ, რეალი ვერ დააკმაყოფილებს, რადგან პანდემიის გამო ყველა გუნდს ფინანსური კრიზისი აქვს.

თუ ვარანს რეალში დარჩენა სურს, ის დათმობაზე წავა.

ბრაიტვეიტი: „მესი ძალიან კარგი ადამიანია“



ბარსელონას ფორვარდმა მარტინ ბრაიტვეიტმა ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ ის კარგი ადამიანია, რომელთანაც ურთიერთობა ყველასთვის იოლია, რადგან ის ყველას კარგად ეპყრობა:

– მესი უბრალო ადამიანია და მასთან ურთიერთობა ნამდვილად სასიამოვნოა. როდესაც პირველად ბარსელონაში მივედი, არ მეგონა, თუ ის ასეთი იქნებოდა, ამიტომ სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნიანგმა რვა წლის ბავშვი გადაყლაპა



ინდონეზიაში ნიანგის კუჭიდან რვა წლის ბიჭის გვამი ამოიღეს, რომელიც მტაცებელმა მთლიანად გადაყლაპა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს სხეულზე დაზიანებები არ აღენიშნებოდა, ის ცოცხალი ვერ გადარჩა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბიჭი მამასთან ერთად სოფელ მაურა ბენგალონის მახლობლად მდინარე ტემპაკულზე თევზაობდა. როდესაც მამაკაცი ნაპირს მოშორდა, ექვსმეტრიანი რეპტილია ბავშვს თავს დაესხა და ის მთლიანად გადაყლაპა.

მამა ნიანგს ცურვით გამოეკიდა, დაეწია და დაარტყა, რომ ბავშვი გაეთავისუფლებინა, მაგრამ რეპტილიამ ჩაყვინთა და მიიმალა. ცხოველი მეორე დღეს დაიჭირეს, მუცელი გაუფატრეს და ბავშვის სხეული ამოიყვანეს, მაგრამ ის უკვე გარდაცვლილი იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

11 მარტისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. ** კურო** – მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** – უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** – დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

რუსს ეკითხებიან:

– როგორია რუსული ქეიფი?

– ერთი ყუთი ლუდი. ორი ბოთლი არაყი, ძეხვი და ძაღლი...

– და ძაღლი რიღასთვის?

– ძეხვი ვინმემ ხომ უნდა ჭამოს...

●●●

სახლში დაბრუნებული ქმარი სამზარეულოში უცხო მამაკაცს შენიშნავს და ცოლს ეკითხება:

– ქალო, ვინაა ის უცხო მამაკაცი სამზარეულოში და რას აკეთებს?!

– ძვირფასო, შენ ხომ 8 მარტისთვის სამზარეულოს კომბაინი მაჩუქე...

– მერე?!

– მერე, ეგ კომბაინერია!

●●●

ჩანაწერი გოგონას დღიურში:

– გავიცანი გივი და ყურებამდე ვარ შეყვარებული, მაგრამ მეშინია, ქალიშვილობა არ დავკარგო.

ერთი თვის შემდეგ:

– ქალიშვილობა დავკარგე, ახლა მეშინია, გივი არ დავკარგო.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, 8 მარტისთვის საჩუქარი მიყიდე?

– რა თქმა უნდა, საყვარელო.

– და მომეწონება?

– ნუ, თუ არ მოგეწონება, შეგიძლია მე მაჩუქო, მასეთ ანკესზე დიდი ხანია ვოცნებობ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვახტანგ მაჭავარიანი: „რაც ხდება დღეს საქართველოში, წარმოუდგენელი უკუღმართობაა!“

დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი ევროპიდან აკვირდება საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და წარმოუდგენელ უკუღმართობას უწოდებს:

– ის რაც ხდება დღეს საქართველოში, წარმოუდგენელი უკუღმართობაა!

რასაც დასთეს, იმას მოიმკი. განურჩევლად ყველა, ვინც ღებულობდა მონაწილეობას პირველი და საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დამხობაში, არიან დამნაშავენი; ქვეყნის, ერის და ხალხის წინაშე. ამას ვიმკით ეხლა და თან არ გვინდა რომ მოვინანიოთ.

ისინი, ვინც ამ განუმეორებელ უზნეობაში მონაწილეობდნენ, ჩემი ხედვით, არიან „შმოკები“, ზოგიერთ მათგანს ვიცნობ პირადად. იმედია იცით, თუ რას ნიშნავს სიტყვა „შმოკ“. ასე დარჩებიან ისინი საქართველოს ისტორიაში და მატიანეში.

ვახტანგ მაჭავარიანის წერილს ზვიად გამსახურდიას შვილი, კონსტანტინე გამსახურდია ასე გამოეხმაურა:

– დიახ, მაესტრო, მთავარია დღეს მოვახერხოთ გაცნობიერებაც და შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნაც. ყველამ ერთ ჰანგზე რატომ იმღეროს, მაგრამ ერთი-ორი სტრატეგიული საკითხი მაინც უნდა იყოს, რაზეც ერი შეთანხმდება. დევიზი უნდა იყოს „შეინარჩუნე ქართული სახელმწიფო, ნუ ჩამოშლი მას“. ყველა, ვინც ჩამოშლაზე, სახელმწიფოს ეფექტურობის განულებაზე, მისთვის ძირის გამოთხრაზე ან შიდა ომის გაჩაღებაზე მუშაობს, რომელ ბანაკსაც და პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, არის პუტჩის ავაზაკი და გამყიდველი, ვისაც სურს რუსეთმა დაიწყოს აქ „ჩერნოვის გეგმის“ განხორციელება და ერთიანი სახელმწიფოს ლიკვიდაცია. დღეს ქვეყანა კავკასიური ცარცის წრეში ჩაყენებული ბავშვივითაა, რომელიც უნდა გაიგლიჯოს. დასავლეთმა უნდა შეასრულოს აზდაკის ფუნქცია. ვინც ეწინააღმდეგება მის აზდაკობას, ისიც პუტჩის ავაზაკია.

რეზო ნასიძე ბოდიშს იხდის

მსახიობი რეზო ნასიძე ბოდიშს იხდის იმისთვის, რომ ქართულ პოლიტიკურ სიძულვილში მონაწილეობდა და ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებდა:

– ბოდიშს ვიხდი, რომ ვმონაწილეობდი ქართულ პოლიტიკურ სიძულვილში და შეურაცხყოფას ვაყენებდი ჩემთვის მიუღებელ მხარეს ან ადამიანებს. ნეტავ დროის უკან დაბრუნება შემეძლოს... ყველამ ძალიან შევტოპეთ და აღარც ვიცი, გამოვალთ თუ არა უკან.

რასაც ჩვენ დღეს ვაკეთებთ, ამას ვერც რუსეთი, ვერც ამერიკა და ვერავინ გაგვიკეთებს, რადგან ჩვენზე და მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რომ არ ვიყოთ ასეთი გაგიჟებული ბოროტები...

ძალიან მინდა ხვალ გავიღვიძო და ერთმანეთი აღარ გვძულდეს, პოლიტიკოსები ერთმანეთს შეხვდნენ, გადაეხვევინონ, დაივიწყონ, რაც იყო და ყველამ ერთად, რამენაირად შევძლოთ ამ ჯოჯოხეთიდან გამოსვლა...

კიდევ ერთხელ მაპატიეთ ყველამ, რომ სახე დაკარგული ადამიანივით ვიქცეოდი და ჩემი წვლილი შემქონდა ჩვენს საერთო დაღუპვაში.

ნიკოლოზ რაჭველი: „ლიეტუვას დონეზე მაინც ვიყოთ“

მაესტრო ნიკოლოზ რაჭველი ქვეყანაში ლიეტუვას დონეს ნატრობს:

– ეჰ, ლიეტუვას დონეზე მაინც ვიყოთ. გერმანიაზე ან სკანდინავიაზე აღარც ვოცნებობ.

არადა, „შენ ხარ ვენახი“ მე-10 საუკუნეში დავწერეთ და გურული პოლიფონია კიდევ უფრო ადრინდელი ხანიდან იყო დედამიწის მე-8 საოცრება...

ყოველთვის ერთეულების ხარჯზე გავძვერით და პატარა იმედი ახლაც მაქვს, მაგრამ... წავედი ახალი კომპოზიციის მოსაფიქრებლად, სხვა მე რა შემიძლია.

მიშო სულუხია: „ერთი გზაა ქვეყნის გადარჩენის“

მომღერალი მიშო სულუხია ქვეყნის გადარჩენას მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკის მკვეთრ აღმასვლაში ხედავს:

– მხოლოდ და მხოლოდ ერთი გზაა ქვეყნის გადარჩენის. მომდევნო 10 წლის მანძილზე თუ არ დაიგეგმება ეკონომიკის მკვეთრი აღმასვლა სახელმწიფოში, რომ ადამიანებმა თვითგადარჩენისა და საკვების მოპოვების ნაცვლად მათი ისედაც მოკლე დრო დაუთმონ წიგნს, განათლებას, კულტურასა და ერუდიციას, ჩვენ, როგორც სახელმწიფო და ქვეყანა, ვერასდროს მივიღებთ ბედნიერ და სიკეთით სავსე თაობას, რომელიც გათენებისას, თვალის გახელისთანავე დაიწყებს ფიქრს თუ ვის მოახმაროს ძილში განახლებული ბედნიერების ენერგია. რადგან მშიერი, შეშინებული და წიგნს მოკლებული ადამიანი ამას ვერ იზამს. უბრალოდ, არ გამოუვა. და ვინც მაინც ახერხებს საკუთარი თავის ასეთ პიროვნებად ჩამოყალიბებას ამ გიენათა ხროვაში, რაც ჩვენ დღეს სახეზე გვაქვს, მათთვის ბევრი ბრინჯაო დაგვჭირდება ძეგლების დასადგმელად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 2. უღელტეხილი საქართველოში; 3. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 5. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 6. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. შვეიცარიაში მდებარე ევროპაში ყველაზე გრძელი საავტომობილო გვირაბი; 14. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ მუსიკის ავტორი; 15. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. მდინარე კახეთში.

თარაზულად: 1. ფერთა სიუხვე არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 7. მსხვერპლად შეწირული რამე; 9. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 10. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 12. მარტვილის ძველი სახელწოდება; 16. საქართველოს ნაკრებისა და დონეცკის „შახტარის“ ფეხბურთელი; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში, სტანდარტი; 18. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 20. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა